პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ფასი 5000 მანეთი

კომუნისტი

წელიწადი მეორე

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო

18 იანვარი
ოთხშაბათი

რედაქციის მისამართი
თბილისი, კრუზენშტერნის
ქ., № 4 რედაქცია ღიაა
ყოველ დღე გარდა [illegible]
უქმეების დღ [illegible]

ტელეფონები: სარედაქციო
კოლეგ. № 14-76 მდივნის
№ 19 საერთო №

№ 14 ოთხშაბათი, 18 იანვარი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 18 იანვარი 1922 წ. № 14

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და წევრებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა მოწვეული იქნება 1922 წლის 22 იანვრისათვის.

ყრილობის დღის წესრიგი:

1) მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ—მომხს. ამხ. ს. ქავთარაძე.

2) პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და საორგანიზაციო ანგარიში—მომხს. ამხ. მამია ორახელაშვილი.

3) პარტიის ურთიერთობა პროფკავშირებთან, მათი მონაწილეობა, წარმოებაში, ს. ს. ს. რ. პროფკავშირების ურთიერთობა რ. კ. პ. საბჭოსა და წითელ პროფინტერთან—მოხს. ამხ. ნაზარეტიანი.

4) ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მისი გატარების პირობები საბჭოთა საქართველოში—მოხს. ამხ. ტოროშელიძე.

5) საადგილ-მამულო პოლიტიკა საბჭოთა საქართველოში მომხსენებელი ამხ. ფილიპე მახარაძე.

6) კოოპერაცია—მომხს. ამხ. მიხეილ ოკუჯავა

7) სასურსათო პოლიტიკა—მოხს. ამხ. ერქომაიშვილი,

8) საბჭოთა აღმშენებლობის მორიგი ამოცანები საქართველოში მომხსენებელი ამხ. ბ. კვირკველია.

9) ეროვნული საკითხი საქართველოში—მომხს. ამხ. ორახელაშვილი.

10) პარტიულ-ორგანიზაციულ აღმშენებლობის მორიგი ამოცანები და პარტიის წესდება—მომხს. ამხ. დონენკო.

11) პარტია და ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი—მომხსენებელი ამხ. ქავთარაძე.

12) პარტიის ც. კომიტეტის არჩევნები.

13) ცენტრალური საკონტროლო კომისიის არჩევნები.

14) პარტიულ სარევიზიო კომისიის არჩევნები.

15) მიმდინარე საქმეები.

არჩევნების წესი;

1) პარტიის ყრილობისათვის არჩევნები ხდება სამაზრო კონფერენციებზე, პარტიის 100 წევრისა და კანდიდატისაგან ირჩევა ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.]

შენიშვნა: 1) პარტიის წევრთა და კანდიდატების თითეულ არა სრულ ასეულზე, თუ მათი რიცხვი 50 კაცზე ნაკლები არ არის,—აგრეთვე იგზავნება ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 2) ორგანიზაციები, რომლებსაც ჰყავთ პარტიის ას წევრს და კანდიდატზე ნაკლები, პარტიის ყრილობაზე გზავნიან თითო წარმომადგენელს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

2) საქართველოს წითელ ლაშქარს პარტიის ყრილობაზე ეთმობა ხუთი ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

3) კომუნისტური ახალგაზრდობის სამაზრო ორგანიზაციები და ქალთა სამაზრო განყოფილებები, სადაც უკანასკნელნი არსებობენ, გზავნიან ყოველი მათგანი თითო წარმომადგენელს სათათბირო ხმის უფლებით.

4) კავკასიის განსაკუთრებულ წითელ ლაშქარს ეთმობა 10 ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით, 10 ადგილი სათათბირო ხმის უფლებით.

5) კომ. ახალგაზრდობის კავშირის ცეკას ეძლევა 3 ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

5) პარტიის ყრილობისათვის დელეგატების არჩევნებში მონაწილეობენ პარტიის მხოლოდ ნამდვილი წევრები. პარტიის ყრილობისათვის შეიძლება არჩეულ იქნან მხოლოდ პარტიის წევრები, რომელთაც აქვთ პარტიის ნამდვილი წევრის არა ნაკლებ ერთი წლის სტაჟი.

ც. კ. მდივანი **ორახელაშვილი.**

საორგანიზაციო განყოფილების გამგე **დონენკო.**

სასოფლო მეურნეობისათვის

რომ ჩვენი ქვეყანა სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა და აქედან, მის ეკონომიური კეთილდღეობაც რომ ამ სახის მეურნეობის კეთილდღეობაზეა დამოკიდებული, ეს ყველასათვის ცხადია.

ამიტომ ჩვენი უმთავრესი მუშაობა ეკონომიურ დარგში სწორეთ იქეთკენ უნდა იყოს მიმართული, რომ აღვადგინოთ, გავაძლიეროთ და განვავითაროთ ეს სასოფლო მეურნეობა.

ჩვენი ქვეყანა მეტისმეტად ჩამორჩენილია მოუწყველობის მხრივ. არ მოგვეპოვება ძლიერი მსხვილი ინდუსტრია, რაიც დაღს ასვამს, ჩვენს სასოფლო მეურნეობასაც. ჩვენი ქვეყანა არა მარტო საერთო სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა, არამედ პრიმიტიული სასოფლო მეურნეობის. და მდგომარეობის სიმძიმეც სწორეთ ამაშია. ქართველი გლეხი ამუშავებს მიწას არა ახალი ტეხნიკის საშუალებით, არამედ მამა-პაპური ძველებური მიწის დასამუშავებელი იარაღებით. ეს ერთი. მეორეთ ის, რომ, საქართველოს ზოგიერთ კუთხეების გამოკლებით, სრულებით არ რწყავდნენ და არ ამოაშრობდნენ მიწებს და ამგვარათ გლეხის მიერ დახარჯული შრომის ნაყოფის სიავკარგე დამოკიდებული იყო ბუნებასა და მიწის ბუნებრივ სიუხვეზე. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, არ იყო გაყვანილი სარწყავი არხები, და ამასთან არც არავინ იტკივებდა თავს, და მეორეთ ჩვენი გლეხები მოკლებული იყვნენ იმის ცოდნას, თუ როგორ გაეპოხიერებიათ მიწები, როგორ რაციონალურათ გამოეყენებიათ ის. ამის კი შედეგათ ის ხდებოდა, რომ ხშირათ გვალვებს გამო მოუსავლობას ქონდა ადგილი და მასთან მიწებიც იფიტებოდა.

და როდესაც ჩვენში დამკვიდრდა საბჭოთა ხელისუფლება, სახელმწიფო მუშების და გლეხების, უკანასკნელმა, როგორც ამ უკანასკნელთა ინტერესების ჭეშმარიტმა დამცველმა [illegible] ჩვენი სასოფლო მეურნეობის ასეთი მდგომარეობა და მიაქცია მთავარი ყურადღება მის გაუმჯობესობას და რაციონალურ ნიადაგზე დაყენებას. დღის წესრიგში დასმულ იქნა სარწყავ არხების გაყვანა, რაც რამდენიმე ხნის შემდეგ ზოგიერთ ადგილებზე სისრულეში იქნა მოყვანილი.

რასაკვირველია უცბათ მთელი ამ ამოცანის სისრულეში მოყვანა, მთელი საქართველოს სულ ერთიანათ სარწყავი არხებით დაქსელვა ყოვლათ შეუძლებელია. და შეუძლებელია არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენი რესურსები ძალიან მცირეა, არამედ შეუძლებელია ტეხნიკურათაც. ამიტომ მოსამზადებელი მუშაობა ჯერ კიდევ დიდ ხანს იწარმოებს, და მასში დიდი ინიციატივა და ენერგია უნდა გამოიჩინონ ამ საქმეში დაინტერესებულმა გლეხებმა. უამისოთ მას დიდი ნაყოფი არ ექნება და კიდევაც შეფერხდება. ეს კარგათ უნდა იცოდეს ყოველმა გლეხმა, რომელსაც არა ერთხელ განუცდია გვალვის მიერ მისთვის მიყენებული ზარალი. მან უნდა შეიგნოს, რომ ეს მის საკუთარ ინტერესებს ეთანხმება და თვითონ აიღოს ამ საქმის ინიციატივა, რასაკვირველია სახელმწიფოს დახმარებით.

ამ უკანასკნელ ხანებში შეუდგენ მუშაობას ყვირილის, მაღლაკის და ფორცხ ნაყანევის სოფლის საზოგადოებათა 32,000 ქცევა მიწის მოსარწყავათ. ამ საზოგადოებათა მცხოვრებნი მისდევენ სასოფლო მეურნეობის სხვა და სხვა კულტურას და ამიტომ უფრო მეტად გრძნობენ მორწყვის აუცილებელ საჭიროებას. ამას გარდა ეს რაიონები დასავლეთ საქართველოშია, სადაც ასე ხშირია გვალვები და მასთან ერთათ ეს უკანასკნელი ორი წელი მოუსავლიანი იყო ამავე მიზეზის გამო. ამიტომ ამ საზოგადოებათა გლეხებმა თვითონ ითავეს მორწყვის საქმის დაწყება და მიმართეს მთავრობას დახმარებისა და ხელმძღვანელობისათვის. სახელმწიფო აძლევს მათ საჭირო მასალებს სხვა და სხვა ტეხნიკურ საშუალებებს, და სპეციალისტებს, მცხოვრებლები კი თვითონ ასრულებენ მთელ დანარჩენ სამუშაოს. ამ მუშაობის დასრულებას ფიქრობენ მიმდინარე წლის სექტემბერში. ეს ძალიან წასწევს წინ ჩვენს სასოფლო მეურნეობას. ხელოვნური მორწყვა ორჯერ უფრო მეტად გაადიდებს მოსავალს. ასეთი ნაყოფი მოაქვს მორწყვას.

მაგრამ მარტო მორწყვა ან მარტო მიწის გაპოხიერება როდი კმარა. რასაკვირველია ესეც წინწევაა და გაუმჯობესობაა სასოფლო მეურნეობის, მაგრამ ამით განისაზღვრა ყოვლად შეუძლებელია. უნდა გადავიდეთ მიწის რაციონალურათ დამუშავებაზე.

საქმე იმაშია, რომ ჩვენში არ არჩევენ ან ვერ არჩევენ თუ მეურნეობის რომელი კულტურა ეგუება და უფრო დიდ ნაყოფს იძლევა ამა თუ იმ რაიონში მიწის სინოყიერისა და ჰავის მიხედვით, და მისდევენ უმთავრესათ ვაზების გაშენებას, გამოკლებით, პურისა და სიმინდის კულტურას. ჩვენი მუშურ გლეხური რესპუბლიკა აქცევს ამას ყურადღებას და შესაფერ ზომებსაც ღებულობს. მაგრამ მარტო ეს არ იკმარებს. მარტო სახელმწიფო ვერაფერს გააწყობს, თუ ადგილობრივათ გლეხებმა არ შეიგნეს ეს და ყოველგვარი დახმარება არ აღმოუჩინეს ჩვენს რესპუბლიკას. ჩვენმა ამხანაგებმაც ადგილობრივათ აქეთკენ უნდა მიმართონ თავიანთი მუშაობის ხაზი. ამასვე ამბობს რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცირკულიარიც.

უნდა გვახსოვდეს და არ დავივიწყოთ, რომ შეუძლებელია საქართველოს ეკონომიურათ აღდგენა და გაფურჩქვნა ისე, თუ არ აღვადგინეთ და რაციონალურ ნიადაგზე არ დავაყენეთ ჩვენი სასოფლო მეურნეობა.

* * *

ინგლის-საფრანგეთის კონფლიქტი და საბჭოთა ფედერაცია

ინგლის-საფრანგეთის კონფლიქტი, რომელმაც თავის გამოხატულება ჰპოვა არისტიდ ბრიანის სამინისტროს გადადგომაში და დიდი ბრიტანეთის პრესის კამპანიაში საფრანგეთის წინააღმდეგ, ჩრდილავს დროებით საერთაშორისო პოლიტიკის სხვა კითხვებს და თავისკენ იზიდავს საყოველთაო ყურადღებას.

ვერსალის იმპერიალისტური ჟანდარმერიის რეჟიმი, გამეფებული ევროპაში მსოფლიო ომის შემდეგ გამარჯვებულთა „საღვთო კავშირის" მიერ, დაყრდნობილი იყო უპირველესათ ინგლის საფრანგეთის „თანამშრომლობაზე". გერმანიის მიწაზე დანარცხების, მისი სამხედრო ძლიერების განადგურების შემდეგ, მთელ რიგ გარემოებათა გამო, ჰეგემონია ევროპის კონტინენტზე ხელში იგდო საფრანგეთმა. მის სამძღვრათ შეიქნა გაპარტახებული და დაფლეთილი გერმანია, საერთოთ ცენტრალური ევროპა, რომელიც შედიოდა ანტანტის მოწინააღმდეგე კოალიციაში და „პატარა" „დამოუკიდებელი" სახელმწიფოები. ამ გარემოებამ შექმნა დიდ ბრიტანეთში ერთნაირი უკმაყოფილება, რომელიც რთულდება ორი ქვეყნის იმპერიალისტურ მეტოქეობაში ჩაქსოვილ წინააღმდეგობით, რაც უფრო და უფრო გამოჩნდა ყველას დასანახავათ დღის სინათლეზე. განსაკუთრებით საერთო საშიში მეტოქის, გერმანიის, დამარცხების შემდეგ.

პირველმა უმთავრესმა წინააღმდეგობამ, რომლის დამალვა შეუძლებელი შეიქნა და მიიპყრო საყოველთაო ყურადღება, თავის გამოხატულება ჰპოვა ოსმალეთ საფრანგეთის ხელშეკრულებაში. ყრუ უკმაყოფილება საფრანგეთით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ლამანშის გაღმა, უფრო აშკარა შეიქნა ამ ხელშეკრულების შემდეგ, და ადგილი მისცა ერთ შეხლა-შემოხლას ინგლის საფრანგეთ შორის. ამ წინააღმდეგობას მისცა სერიოზული ოფიციალური გამოხატულება მთელ რიგ ნოტების გაცვლა გამოცვლით ორ მთავრობის შორის. ტემზის ნაპირზე, საგარეო საქმეთა ოფისში, გამოცდილი და გამოქნილი ხალხი სხედან. მათ იგრძნეს, რომ ქემალთან დადებულ ხელშეკრულების გარდა, რომელიც გამოქვეყნდა, არსებობს კიდევ საიდუმლო ხელშეკრულება ოსმალეთთან, რომელშიაც დაიცვეს სერიოზული საფრანგეთ თავის მდგომარეობისათვის მესოპოტამიაში. გარდა ამისა, თვით ხელშეკრულების დადების ფაქტმა გამოიწვია ინგლისში უკმაყოფილება იმ მხრივ, რომ საფრანგეთი ვითომც ევლინებოდა ოსმალეთს როგორც მეგობარი და დამცველი ინგლისის წინააღმდეგ და უკვე ამით ემუქრებოდა უკანასკნელის ტრადიციულ გავლენას სამუსულმანო ქვეყნებში. თუ ამასაც მივუმატებთ, რომ დიდი ბრიტანეთის ოფიციალური პრესა საზოგადოდ საყვედურობდა საფრანგეთს, როგორც მოკავშირის, უფლებას სეპარატიულ ნაბიჯების გადადგმაზე ოსმალეთში, ინგლისის დაუკითხავათ, აშკარა არის მოტივები უკმაყოფილების.

ზემოთქმულს მიემატა ინტერესთა წინააღმდეგობა ორი სახელმწიფოს დამოკიდებულებაში გერმანიასთან.

გერმანია ის ძალაა კიდევ დღესაც, დამარცხების შემდეგაც, რომელიც შიშის ჟრუანტელს ჰგვრის „გამარჯვებულ" საფრანგეთს. პოლ დერულედის „ალთქმაზე" აღზრდილი თაობა საფრანგეთის „revanchard"-ების, რასაკვირველია, ერთი წუთითაც ვერ გაუშვებს ყურადღებიდან იმ გარემოებას, რომ ახალი „1871 წელი", რომელიც არგუნა ისტორიული ბედის ტრიალმა ახლა უკვე გერმანიას, რევანშის კულტს ზრდის და ანვითარებს გერმანიის ეგრეთ წოდებულ საზოგადოებაში. აჩრდილი იარაღში ჩაჭედილი ძლიერი გერმანიის, რომელიც ისახება საფრანგეთის იმპერიალიზმისათვის ისტორიულ პერსპექტივაში, ეს აჩრდილი თავზარს სცემს მას უკვე დღეიდან. ამიტომ ის ჩაბმულია ძალთა კომბინაციის ისეთი გეგმების შემუშავებაში, რომელმაც, მისი აზრით, უნდა უზრუნველჰყოს ის ყოველგვარ მოსალოდნელ შემთხვევებისაგან. დღეს კი საფრანგეთის იმპერიალიზმის წინ დგას კითხვა, რაც ძალა და ღონე შესწევს, მთელი თავისი შესაძლებლობით, რომელსაც მას აძლევს მდგომარეობა გამარჯვებულის და იარაღ აყრილი, დაფლეთილი, გაძარცვული გერმანიის, ხელი შეუწყოს მის განადგურებას. კონკრეტულათ ეს გეგმა უნდა გატარდეს დღეს დამარცხებულისაგან კონტრიბუციის აღებით, რაიც არ უნდა დაუჯდეს ეს გერმანიის მეურნეობას, თუ გინდ მისი განადგურების ფასიათაც. მაგრამ ამისთვისაც საჭიროა თანხმობა ყველა „გამარჯვებულების", უმთავრესათ ინგლისისა და საფრანგეთის შორის. „სწორეთ თუ არა, რომ გერმანიამ არაფერი გადაიხადოს? ამ მიზნის მისაღწევათ—ამბობს გაზ. „ტან"-ი არის მორატორიუმზე კიდევ უფრო მოხერხებული საშუალება: ეს—ინგლის საფრანგეთის ერთმანეთზე გადაკიდება, მათი წაჩხუბება". ხოლო, თუ სასურველია, რომ გერმანიამ აანაზღაუროს მის მიერ აოხრებული ევროპის ზარალი—ამბობს გაზეთი—საჭიროა ყველას შეთანხმება გერმანიის წინააღმდეგ. აქედან ლოზუნგი: „Créanciers de l' Allemagne unissez vous!" „გერმანიის კრედიტორებო, შეერთდით!" გაზ „ტან" 1 დეკ.).

მაგრამ თვით შინაური ეკონომიური მდგომარეობის გამო ინგლისის „საქმის ხალხი" რამოდენიმეთ სხვანაირათ უდგება საკითხს გერმანიის ვალების შესახებ. ეს რასაკვირველია არ შეადგენს საიდუმლოებას საფრანგეთისათვის. იგივე ხელმძღვანელი ორგანო საფრანგეთის ბურჟუაზიის აგრე გამოხატავს ამ [illegible] წინააღმდეგობას: „რას მოითხოვს პირველ ყოვლისა საფრანგეთის ინტერესები? იმას რომ მისი დანგრეული რაიონები კვლავ აშენდეს. რას მოითხოვს ინტერესები ინგლისის? იმას, რომ მისი საგარეო ვაჭრობა—ეს არის „დანგრეული რაიონი" მისთვის გაძლიერდეს—ორნაირათ საფრანგეთის აღსადგენათ საჭიროა, რომ გერმანიამ გადაიხადოს. ინგლისის ვაჭრობა რომ გაძლიერდეს საჭიროა, რომ გერმანიას შეეძლოს ყიდვა." ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ყიდვის საშუალება გერმანიას მოსპობილი აქვს მარკის ფასის დაცემით და ეკონომიური განადგურებით რომელ მიზეზებსაც კიდევ უფრო ართულებს საფრანგეთის შეურიგებლობა მის წინააღმდეგ. აქედან—ინგლისი მომხრეა გადადებულ იქნეს ვალის გადახდის ვადა მორატორიუმი, საფრანგეთი კი ამის წინააღმდეგი. დიდი შეხლა შემოხლის შემდეგ თითქოს საფრანგეთმა ბრიანის პირით დათმო რამოდენიმეთ ამ საკითხში ინგლისთან [illegible] შეთანხმებაში, კანში, მაგრამ სხვათა შორის სწორეთ ამ „შეთანხმებამ" კიდევაც იმსხვერპლა ბრიანის სამინისტრო.

რუსეთის საკითხმა, რომელიც წინათაც იყო გამხდარი უთანხმოების საგნათ, კიდევ უფრო გაართულა მათ შორის ურთიერთობა. რვა მილიონი მუშა დიდი-ბრიტანეთის განძრევის ღონეს არ აძლევს ლოიდ-ჯორჯის მთავრობას და კატეგორიულათ მოითხოვს მისგან შეთანხმებას რუსეთთან იმ შემთხვევაშიაც კი თუ დანარჩენი „მოკავშირეები" ამის წინააღმდეგი იქნებიან. შინაური მდგომარეობა ქვეყნის, მისი მეურნეობის დაცემა, საფრთხე, რომელსაც უქადის მას ეკონომიური კრიზისის გამო აქტიური მოძრაობის გზაზე შემდგარი მილიონობით შრომის არმიის, აიძულებენ დიდი ბრიტანეთის მთავრობას გადამჭრელი ნაბიჯი გადადგას საბჭოთა რუსეთის ცნობისათვის. ამის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო და არის საფრანგეთის იმპერიალიზმი.

ყველა ამ მიზეზებმა დაჰბადა წინააღმდეგობა ორ მოკავშირეთა შორის.

ძნელია დღეს იმის თქმა რამდენათ შორს წავა ეს წინააღმდეგობა მსოფლიოს ორ ძალთა შორის. მაგრამ ყოველი უთანხმოება, რომელიც თავს იჩენს მათ შორის მეტ საშუალებას აძლევს რევოლიუციონურ ძალებს ევროპაში აქტიურათ გამოსვლისათვის და ამაგრებს საერთაშორისო მდგომარეობას საბჭოთა ფედერაციის. სრულიად სამართლიანათ ამბობს მოსკოვის „პრავდა", რომ რუსეთს და მით ყველა საბჭოთა ქვეყნებს უადვილდებათ სუნთქვა.

საბჭოთა ფედერაცია ისარგებლებს მტრების უთანხმოებით, რა გინდ უმნიშვნელოც უნდა იყოს ის (ხოლო მოწინააღმდეგეები ლაპარაკობენ დღეს ფრიად სერიოზულ მდგომარეობაზე, რომელიც შეიქმნა მათ შორის და ამიტომ მთელ ევროპაში), რომ კიდევ უფრო განამტკიცოს თავისი მდგომარეობა და დღეს შექმნილი ქაოსიდან გამარჯვებული გამოვიდეს. ამის თავდებია კაპიტალისტური რეჟიმის კვლავ მიმდინარე რღვევა და რევოლიუციონერ ძალთა საყოველთაო მობილიზაცია.

გენუას კონფერენციის გარშემო

მუშების აზრი ამხ. ლენინის მოწვევის შესახებ გენუას კონფერენციაზე.

მოსკოვი, 17 იანვარი. (როსტა). ლოიდ ჯორჯის მიერ გამოქვეყნებულ მემორანდუმში ნათქვამია, რომ რუსეთის მთავრობის დასწრება, ბრიტანეთის მთავრობის აზრით, აუცილებელია გენუას კონფერენციის ნაყოფიერებისათვის. მეტათ დიდი მნიშვნელობა ექნება, საქმე დავიჭიროთ უშუალოთ იმ პირებთან, რომლებიც რუსეთის მთავრობის სათავეში დგანან. სრულიად უსარგებლო იქნება მოსკოვში წერილობით პირობების გაგზავნა.

— რას ფიქრობენ ამაზე რუსეთის მუშები და გლეხები? ასეთ კითხვას იძლევა გაზეთ „პრავდას" რედაქცია, რომელმაც დაბეჭდა წითელარმიელი პეტროვის წერილი სათაურით: „რისკი არაა საჭირო": „საერთაშორისო ბურჟუაზიის ბატონები, სწერს პეტროვი, ლენინს იწვევენ ეკონომიურ კონფერენციაზე გენუაში. ეს, რასაკვირველია, კარგი საქმეა და ამასთან დიდათ სასარგებლო ჩვენი ავტორიტეტისათვის; მაგრამ შეუძლიანთ მათ, ამხანაგებო, უზრუნველყონ ძვირფას ილიჩის ხელშეუხებლობა? შეუძლიანთ მათ რევოლიუციის მიერ განდევნილ რუსის ემიგრაციის ცოფიანი სიძულვილის აღკვეთა? ხოლო ამ ემიგრაციასთან ხელი ხელ ჩაკიდებული მიდიან საბჭოთა რესპუბლიკის სხვა მტრებიც. არა, მათ არ შეუძლიანთ ეს, ისე როგორც ჩვენც არ შეგვიძლიან უზრუნველყოფა იმისი, რომ არ მოხდება რაიმე პროვოკაციული აქტი ამხ. ლენინის წინააღმდეგ. ამიტომ, ამხანაგებო, გაუფრთხილდით მოხუცს, ნუ გაუშვებთ მას „მგლების ბანაკში", შესაძლებელია საფრთხე ასეთ ნაბიჯიდგან. თავი უნდა შევიკავოთ ამ ხანით".

* * *

ამხ. ფ. მახარაძის წერილი ვასო აბაშიძისადმი

საქართველოს ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენელს, ჩვენი კულტურის სასიქადულო მოღვაწეს, ვასო აბაშიძეს.

ძვირფასო ძმაო ვასო!

გთხოვ მიიღო ჩემი მხურვალე და გულწრფელი სალამი შენი 50 წლის მეტათ ნაყოფიერი და მეტათ სასარგებლო მოღვაწეობის შესრულების გამო. შენ აიგე თავის თავს მართლაც ხელთუქმნელი ძეგლი. შენი მოღვაწეობა მეტად მჭიდროთ შეკავშირებულია ქართულ სათეატრო ხელოვნების აღორძინებასთან. თუ გ. ერისთავმა და ანტონოვმა ჩაუყარეს მას პირველი საძირკველი, შენ სამაგიეროთ ერთი იმ მოღვაწეთაგანი ხარ, რომლებმაც ამოიყვანეს მისი კედლები. შენ შეაგნებინე და შეაყვარე ხალხს ნამდვილი ხელოვნება, და სამაგიეროთ ხალხმა შეგიყვარა შენ... შენ მიერ შექმნილი ტიპები თვით ცხოვრების სიღრმიდან არიან ამოღებულნი და ისინი ცოცხლები დგანან ჩვენ წინაშე. შენ ხშირად აცინებდი მაყურებლებს, მაგრამ ეს არ იყო უბრალო სიცილი. შენი ხანგრძლივი და ბედნიერი მოღვაწეობის დროს შენ მუდამ მტკიცეთ და ერთგულად ემსახურებოდი ერთ რასმე—ხელოვნების ერთი დარგის აღორძინებას, და დღეს შენ შეგიძლია სიამაყით და დამშვიდებით თქვა, რომ შენ პირნათლად და პატიოსნათ შეასრულე შენი მოვალეობა, ამ 50 წლის განმავლობაში ბევრი ქარტეხილი გადაიტანა როგორც მთელმა ჩვენმა ქვეყანამ, ისე კერძოთ შენც. მაგრამ შენ მაინც მუდამ ერთგული იყავი შენი მრწამსის, შენი მოწოდების. და ამ შენ სამსახურს, ამ შენ დიდ ნიჭს, რომელმაც შენ საშუალება მოგცა დაგემსახურებია უკვდავი სახელი, ყველაზე უფრო აფასებს მხოლოდ მშრომელი ხალხი, რომელთანაც შენ მუდამ დაახლოებული იყავი. მშრომელი ხალხი კარგათ არჩევს ჭეშმარიტ ნიჭს.

ვწუხვარ, რომ ავათმყოფობის გამო არ შემიძლია პირადათ მოგილოცო შენი საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის თავი. გისურვებ დღეგრძელობას.

შენი ღრმათ პატივისმცემელი
ფილიპე მახარაძე.

15 იანვარი 1922 წ.
ქ. თბილისი.

* * *

წითელ რესპუბლიკებში

საქართველო

(საქრევკომის საინფორ. განყ. ცნობა)

სასურსათო მდგომარეობა აჭარაში.

ბათომში საბჭოთა მთავრობის დამყარების შემდეგ დაარსდა ბათომის ოლქის სასურსათო კომიტეტი, რომელიც შეუდგა შეძლებისდაგვარად მუშა მოსამსახურეთა კვების მოწყობის საქმეს, რისთვისაც გახსნა 50—52 სასადილო და გამანაწილებელი პუნქ. მოაწყო სურსათ-სანოვაგის დამამზადებელი აპარატი, წისქვილები, ფურნეები და შექმნა განმანაწილებელი აპარატი, რომელიც თვალყურს ადევნებდა სურსათ სანოვაგის განაწილებას და მისი დანიშნულებისამებრ მოხმარებას.

თავდაპირველად დაახლოვებით 2 თვიმდის სასურსათო კომისარიატი კვებავდა წითელარმიელებს 60,000 კაცამდე. შემდეგ კი მათი კვება გადავიდა სამხედრო უწყებაზე; წითელარმიელთა ოჯახობა კი დარჩა ისევ სასურსათო კომისარიატის მზრუნველობის ქვეშ. გარდა ამისა სასურსათო კომიტეტი კვებავდა ორიათასამდე ბავშვს, 550 ავადმყოფს, 25 500 მდე მუშა-მოსამსახურეს და მათ ოჯახებს.

სურსათ-სანოვაგის მომარაგება სწარმოებდა ნაღდ ფულით ზოგგან კი საქონლის გაცვლა გამოცვლით. ყველაზე მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენდა ნავთი, რომელსაც ღებულობდა კომიტეტი მთავრობის განკარგულებით სურსათ-სანოვაგეზე გადასაცვლელად, ნოემბრის რიცხვიდან სასურსათო კომიტეტი სახალხო კომისარიატათ გარდაქმნილი,—ჩავარდა მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში: მას შემოელია რესურსები, სურსათ-სანოვაგის შესაძენად და იძულებული გახდა დაეკეტა სასადილოები. ამასთანავე შესწყდა მოსამსახურეთათვის პურის მიცემა. კომისარიატის კმაყოფაზე დარჩა მხოლოდ ბავშვები, ავადმყოფები, პატიმარნი, ჩეკა და მილიცია, რომელთაც მიუხედავად კრიტიკულ მდგომარეობისა, კომისარიატი აკმაყოფილებდა შეძლებისდაგვარად.

ამ ჟამად კომისარიატი ცდილობს

დღიური

საფრანგეთში შესდგა ახალი მთავრობა რაიმონდ პუანკარეს მეთაურობით. პუანკარე წინააღმდეგია გენუას კონფერენციისა.

საბჭოთა მთავრობამ მოსთხოვა ფინეთს კორელიის აჯანყებაში მონაწილე, აწ უკვე დამარცხებულ ბანდების განიარაღება, მათი იარაღის გადაცემა რუსეთისათვის და ყველა იმ ორგანიზაციების დახურვა და მოქმედების მოსპობა, რომელნიც ხელს უწყობდნენ კორელიის აჯანყებას.

განაახლოს საქმე. ის უკვე შეუდგა მისამს ხუთ თვის პურის მიცემას, ჩაირიცხა ხილახლა კმაყოფაზე გარდა მოხსენებულ დაწესებულებათა სანაპირო რაზმი, საგანგებო დანიშნულების რაზმი, საბჭოთა მოსამსახურენი და სხვა, დაახლოვებით 4,000 სული.

ოზურგეთის მაზრაში.

მაზრის ადმინისტრაცია. ოზურგეთის მაზრაში ადმინისტრატიული აპარატი მოწყობილია თანახმად დეკრეტისა № 26. მაზრაში არსებობს 40 თემი. მთელი მაზრა ექვს სარაიონო მილიციის სამართველოდ არის დაყოფილი. მილიციის სათავეში დგანან მილიციის უფროსი, თანაშემწე და შტაბის უფროსი. მილიციის მიერ ყოველი ადმინისტრატიული ხასიათის დადგენილებები სისწორით სრულდება. ეკონომიურად მილიციის თანამშრომელნი უზრუნველყოფილნი ვერ არიან, რის გამო მათ შორის ალაგი აქვს ხშირად სამსახურიდან განთავისუფლების სურვილს. მილიციის გასაჯანსაღებლად მოხდენილ იქნა რეორგანიზაცია.

კომუნალურ განყოფილებაში. კომუნალური განყოფილება შეერთებულია სამეურნეო საბჭოსთან. მის განკარგულებაში იმყოფება ელექტრო-სადგური, რომელიც აწვდის განათებას ქალაქს და ყველა საბჭოთა დაწესებულებებს. ეკონომიურ განყოფილების მიერ დღიდან საბჭოთა ძალაუფლების დამყარებისა მოწყობილია აბანო, სადლაქო, სახარაზო, [illegible] და სადურგლო, რომლებითაც უფასოდ სარგებლობენ საბჭოთა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი. ოზურგეთში არსებული ტყავის ქარხანა პირველად აწარმოებდა მუშაობას მხოლოდ შეჩერებულია საჭირო მასალის უქონლობის გამო, ამ ქარხნის შესახებ ეკონომიურ განყოფილებას მოლაპარაკება აქვს ქარხნის ძველ მეპატრონესთან საქმის რიგიანად დასაყენებლად. წინეთ ეკონომიური განყოფილების განკარგულებაში იყო ხატნების ხეხის ქარხანა, რომელიც ჩამოერთვა მას და გადავა ცენტრის განკარგულებაში. განყოფილებას ბევრი რამის გაკეთება აქვს მიზნად დასახული, მაგრამ ხელს უშლის უსახსრობა. ის შემოსავალი რომელსაც ადგილობრივად ყაფარიდან, აბანოებიდან, სადლაქოდან, სასადილოდან და სხვ.) ღებულობს განყოფილება არ ყოფნის წვრილმან ხარჯებსაც და მას არაფერი რჩება რაიმე ახალის შესაქმნელად.

სასურსათო საქმე, სასურსათო სანოვაგის კრიზისი და სიძვირე ოზურგეთში თავიდანვე არსებობდა. სასურსათო კომიტეტმა მაზრაში პირველად გახსნა ექვსი სასადილო, დღეს კი არც ერთი არ არსებობს მოსამსახურენი არ არიან უზრუნველყოფილნი სურსათ სანოვაგით. ამ მხრით უფრო ცუდ მდგომარეობაშია თემები, ვინაიდან სასურსათო კომიტეტი მათ ვერაფერს აწვდის, სასურსათო კომიტეტმა საშუალების უქონლობის გამო ვერ შესძლო სურსათ-სანოვაგის მარაგი დაეჭირა თავის დროზე არ მოიპოვება აგრეთვე ფოთლეულობა. სასურსათო გადასახადის გარშემო სწარმოებს გაცხარებული მუშაობა. მაზრაში არსებული წისქვილები დაბეგვრილია და შემოსავალი მიდის რევკომის სასარგებლოდ.

რუსეთი

განმარტება ფულის ნიშნების შესახებ.

მოსკოვი, „უწყებები" იტყობინება მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმმა, ამხ. კამენევის ხელმოწერით გამოაქვეყნა განმარტება, რომ სიცრუეა სპეკულიანტების მიერ მოგების მიზნით გავრცელებული ხმები ძველი ფულების გაუქმების შესახებ. ახალი ფულის ნიშნები გამოშვებულია ანგარიშის გასაადვილებლად. ძველი ფულის გადაცვლა ახალზე და პირიქით, ახალისა ძველზე წარმოებს ყველა სახელმწიფო სალაროებში და საბჭოთა დაწესებულებებში. ძველი ფულები არ იქნება გაბათილებული (კავროსტა).

ფოსტა-ტელეგრაფი.

მოსკოვი. „უწყებების" ცნობით, რ. ს. ფ. ს. რ. ფოსტა ტელეგრაფის ქსელი შესდგება 12 714 დაწესებულებებთან, მათში 8.032 ფოსტისა, 284 მიმღები და 38 მძლავრი და ნახევ. მძლავრი რადიო-სადგური, 5.961 საცხენო სადგური, 558 საფოსტო ვაგონი; 121.500 ვერსი სატელეგრაფო ხაზია, 554.250 სამავთულო ვერსი და 75 000 ვერსი სატელეფონო ხაზი 264.700 ვერსი მავთულით. ფოსტა ტელეგრაფის მუშაკთა შემადგენლობა შტატების შემცირების შემდეგ უდრის 140,000 კაცს. უკრაინაში ირიცხებოდა 2 264 ფოსტა ტელეგრაფის დაწესებულება, მათ შორის საფოსტო 1,153 რომლის პიროვნული შემადგენლობა 39,500 კ., საფოსტო ტრაქტი—15,000 ვერსი, საცხენო სადგური 1,151, ცხენი—8,177. 9 თვის განმავლობაში ფოსტა-ტელეგრაფის აპარატში გაიარა 644,000 წერილმა.

ფინანსიური პოლიტიკა.

მოსკოვი. ე. პრეობრაჟენსკი „პრავდა"-ში ეხება რა ფინანსიურ პოლიტიკას, ამბობს: ახალი ფულის ნიშნების გამოშვება არ არის დენომინაცია. ახალი ფული იქნება მიმოქცევაში ძველთან ერთად. რა აზრი აქვს ამ ღონისძიებას? პირველი, საჭიროა გადავიდეთ მცხოვრებთათვის უფრო მისაწვდომ და ჩვეულ ფულის ანგარიშზე. ჩვენ უკვე ვთვლით მილიონობით მილიარდებით და ტრილიონობით. ეს ციფრები მიუწვდომელია მოსახლეობის ფართო წრეებისათვის. ხოლო თუ მილიონის მაგივრად მივიღებთ 100 ახალ მანეთს, მილიარდის მაგივრად 100,000-ს და ა. შ.,—ანგარიშისათვის ეს უფრო ადვილი იქნება უკვე ეხლაც ბაზარზე 50.000-ს ეძახიან ათ შაურს, 100 ათასს მანეთს, მილიონს—თუმანს და ა. შ. როგორც ვხედავთ, ბაზარი თავის პრაქტიკულ დენომინაციაში გაცილებით უფრო შორს წავიდა. [illegible] სახ. კომ. საბჭოს დეკრეტი. ამასთანავე უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ს. კ. საბჭომ დაადგინა შეზღუდოს 1922 წლისათვის ქაღალდის ფულის გამოშვება განსაზღვრული ჯამით, რომელიც გამოანგარიშებული იქნება ოქროთი. ამ თანხაზე ზევით ემისია აკრძალულია, რაც მოგვცემს საშუალებას თანდათან შევამციროთ ემისია გადასახადის ხარჯზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვდგებით ფულის კურსის თანდათანი გაუმჯობესების გზაზე, უახლოვდებით მისი სიმტკიცის მიღებას ასეთ პირობებში ფრიად საძნელოა დავტოვოთ ჩვენი ფაქტიური „მილიონები". ამ მილიონებს უნდა უწოდოთ ციფრი, უფრო დაახლოვებული მათი რეალური სყიდვითი ძალისა ომის წინანდელ ფასებთან შედარებით. ძველი ფული იტრიალებს ახალთან ერთად მხოლოდ როგორც წვრილი გასაცვლელი ერთეული: ახლანდელი ათასიანი იქნება ორი შაური, ხუთასიანი შაური, ხოლო თვით ახალი მანეთიანი საბაზრო ფასეულის თანასწორისით წარმოადგენს ომიანობის წინანდელ ოქროს მანეთიანის სამ შაურს.

საბჭოთა ხელისუფლება და ინტელიგენცია

მოსკოვი, ამხ. ლუნაჩარსკიმ პრესის წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ხელმძღვანელი პარტიული და სახელმწიფოებრივი წრეები ფრიად არიან დაინტერესებულნი იმ დიდი გარდატეხით, რომელსაც განიცდის ემიგრაციის საუკეთესო ნაწილი და რომელიც გამოიხატა ცნობილ კრებულში „სმენა ვეხ".

—ჩვენ მოხარულნი ვიქნებით, სთქვა ამხ. ლუნაჩარსკიმ, მათი დაბრუნებისა რუსეთში და თანამშრომლობისა ჩვენთან, რომლის სურვილს იგინი აცხადებენ და რომლისაკენაც მოუწოდებენ მთელ ინტელიგენციას. რუსეთშიაც აგრეთვე ბლომადაა ამ მიმართულების ინტელიგენცია. იმათ მიმართეს ც. კომიტეტს თხოვნით მიეცეთ მათ საშუალება დაარსონ ჟურნალები ან გაზეთები, ამასთან თანამშრომელთა რიცხვში აღნიშნულია კომუნისტების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ალბად რეაქცია რამოდენიმედ მაინც დააკმაყოფილებს ამ წინადადებას. ცხადია, რომ ყოველგვარი ცდა [illegible] ან საერთოდ კომუნიზმისაგან დამოუკიდებელი პარტიის შექმნისა დიდი შეცდომა იქნებოდა. საქმე ის არის, რათა ინტელიგენცია ნამდვილად დაგვეთანხმოს და სცნოს, რომ ის გზა, რომლითაც მიდიან კომუნისტები და რომლისკენ იგინი მიუთითებდნენ, წარმოადგენს ერთად ერთ მისნელ გზას არა მარტო მსოფლიო რევოლუციის, არამედ რუსეთის დაცვის და განვითარების თვალსაზრისითაც. რაც შეეხება ჩვენი ემიგრაციის მეორე ნაწილს, ჩვენ სრულებით არ ვფიქრობთ, რომ უცხოეთში გაქცეულმა ბურჟუაზიამ საბოლოოდ მოიჭრა გზა რუსეთში დაბრუნებისათვის. ახალი ეკონომიური პოლიტიკა საშუალებას აძლევს ამ კლასის წარმომადგენლებს, რომელსაც მართლა გააჩნია ორგანიზაციული გამოცდილება და კომერციული უნარი,—აპოვნოს თავისი თავი. ჩვენ არასოდეს არ ვფიქრობდით ჩამოგვეცილებინა ინტელიგენცია, არც კერძო თაოსნობას უყოყმანოდ სავსებით. საჭიროა მხოლოდ, რომ ბურჟუაზიამ,—ბურჟუაზიის საუკეთესო წარმომადგენლებმა, საბოლოოდ აიღოს ხელი მათვის ჩამორთმეულ ქონების დაბრუნებაზე და კაპიტალიზმის რესტავრაციის იდეაზე. რამდენადაც ჩვენ ახლა იჯარით ვცემთ ცალკე წარმოებებს და სამსახურში ვიწვევთ ყოფილ მწარმოებლებს იმდენად ეს საკმაოდ შესაძლებელია ბურჟუაზიულ ემიგრაციის უფრო ხაზიერი წარმომადგენლების მიმართ. თუ ზოგიერთ ყოფილ კაპიტალისტს მოეპოვება საშუალებანი, მას შეუძლია ასეთი დააბანდოს საჯარო წარმოებაში. ყველა ტიპის უძლები შეღებისათვის ამჟამად არის შესაძლებლობა დაბრუნდნენ სამშობლოს და შეიქმნან იმისათვის სასარგებლონი, და ამავე დროს იხსნან თავი საშინელ არსებობიდან, რომელიც მათ ხვალში მოელის, მათ თავის ნიჭის და მოწყვეტილებს და თვით ჩვენი მტერებისათვის ზედმეტს.

მოსკოვის დაწესებულებათა შემცირება.

მოსკოვი. მოსკოვის საბჭოს დაწესებულებათა გადამსინჯველი და შემამოკლებელ კომისიის თავმჯდომარე ამხ. ბოგუშლოვსკი იტყობინება, რომ საბჭოთა დაწესებულებების ბიუროკრატიული აპარატი შემოკლებულია 75 პროცენტით. შტატების შეკვეცება წარმოებებში არ აღემატება 25 პროც.-ს წარმოებების შტატები დაყვანილ იქნება ომის წინანდელ ნორმამდე. შემცირების პროცესში გამოირკვა, რომ მრავალ დაწესებულების შტატები უზომოდ გაბერილიყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია მუშაობა მუშურ-გლეხურ ინსპექციის მიმართ, სადაც არსებობდა 11 განყოფილება, მრავალი ქვე-განყოფილებით. კომისიამ დასტოვა მხოლოდ ორი ძირითადი განყოფილება; თანამშრომელთა 1.980 რიცხვიდან დატოვებულია მხოლოდ 600, ამასთან განყოფილებებში სამუშაოდ ცენტრში დატოვებულია 175, რაიონებში და მაზრებში—125. დანარჩენები უნდა იქნან გამოყენებულნი სხვა და სხვა დამჯერელი კატეგორიების ჩასატარებლად. რაიონები მ.-გ. ინსპექციის განყოფილებანი, აგრეთვე მაზრებში სავსებით გაუქმებულია. სრულებით გაუქმებულია ქალაქში 250 საბინაო გამგის თანამდებობა. მეტ წილ არა სამრეწველო მაზრებში გაუქმებულია სახალხო მეურნეობის საბჭოები. მაზრებში საგრძნობლად შემცირებულია სათემო აღმასკომების შტატები საგუბერნიო პოლიტგანყოფილებაში 600 თანამშრომლიდან დატოვებულია მხოლოდ 70. სოციალურ აღზრდის მმართველობაში „მონოს" განყოფილებაში 377 თანამშრომლიდან დატოვებულია 44, ამასთან შემცირება არ შეხებია არც სკოლებს, არც საბავშვო [illegible] სრულიად დატოვებულია [illegible] ლების კურსები მოზრდილთათვის. ქოხ-სამკითხველოები დატოვებულია თითო-თითო ყოველ თემზე, მათი შენახვა იწარმოებს ადგილობრივი საშუალებებით. კლუბები დატოვებულია მხოლოდ [illegible] და ახალგაზრდათა კავშირისა თითო-თითო რაიონზე. 173 კლუბიდან მოსკოვში დატოვებულია 44, წრეები და სტუდიები—თითო ყოველ რაიონსა და მაზრაზე თეატრალურ სტუდიებიდან,—საგრძნობ რაოდენობიდან 70 მუსიკალურის, 10 იზოს და 39 წრიდან, მოსკოვში სულ სახელმწიფო მომარაგებაზე დატოვებულია 7 სტუდია, საგრძნობლად შემცირებულ იქნა სამხატვრო სკოლები. სამი დრამატიულ ტეხნიკუმიდან დატოვეთ ერთი. საშუალო-სამეურნეო სკოლები დარჩა სავსებით 14.

⁂

მსოფლიო რევოლიუციის ფრონტზე

მუშათა გაფიცვა სამხრეთ აფრიკაში.

მოსკოვი, 16 იანვარი. რადიო. სამხრეთ აფრიკის ოქროს მადნის მუშათა გაფიცვაში მონაწილეობას იღებს 20,000 კაცი. ჯერ გამოურკვეველი არაა, რამდენი ქვანახშირის მუშა მიემხრო გაფიცვას. იმ მკვიდრი მუშების შენახვა, რომლებმაც გაფიცვის გამო სამუშაო დაკარგეს, კვირაში ჯდება 200.000 გირვანქა სტერლინგი, ამიტომ მათ სამშობლოში დააბრუნებენ. შეიძლება, მთელ ოლქში სამხედრო წესები გამოაცხადონ იოჰანესბურგის ქარხნის მუშებიც გაიფიცნენ.

საფრანგეთის ქვანახშირის მადნის მუშები გაფიცვით იმუქრებიან.

მოსკოვი, 16 იანვარი. რადიო. ჩრდილოეთ საფრანგეთში ქვანახშირის მადნის მუშები გაფიცვით იმუქრებიან, უკეთუ მადაროს პატრონები შეამოკლებენ სამუშაო ქირას.

ირლანდიელ მუშების გამოსვლა.

ლონდონი, 12 იანვარი. რადიო. მუშათა პარტიის კონგრესმა მოწოდება გამოსცა ირლანდიელ მუშებისადმი, რომელშიაც ნათქვამია: „ამიერიდან ბრძოლა, რომელიც მშრომელთა უნდა აწარმოონ, იქნება სრულიად გარკვეული და წმინდა ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ. ინგლისთან ომის დროს, მუშები თავს იკავებდნენ თავიანთი მოთხოვნების წარდგენისაგან. ეხლა კი მათ უნდა ისარგებლონ ყველა საშუალებით, რომ შექმნან მუშათა რესპუბლიკა. ჩვენ მოუწოდებთ მუშებს რიგზე მოეწყვნენ და მზათ იყვნენ მოქმედებისა და ბრძოლისთვის.

მოსკოვი, 16 იანვარი. რადიო. ირლანდიელ მუშების დეპუტაციამ განუცხადა ირლანდიის პარლამენტს, რომ ირლანდიაში ითვლება 130,000 უმუშევარი. როცა ირლანდიელი მუშები თავისუფლებისთვის იბრძოდნენ, ამავე დროს ისინი იბრძოდნენ კაპიტალისტების უღლისგან განთავისუფლებისთვისაც, მუშები ვეღარ შეურიგდებიან თავიანთ საცოდავ არსებობას. ირლანდიის პრეზიდენტი დაპირდა მუშებს კომისიის მოწვევას უმუშევართა საკითხის განსახილველად.

რევოლიუციონური მოძრაობა ინდოეთში.

რომი, 16 იანვარი. რადიო. მადრასში ისევ იფეთქა არეულობამ. არეულობის ჩასაქრობად გამოწვეულ იქნა ჯარი. არის დაჭრილ-დახოცილები.

რკინის გზელთა გაფიცვა ირლანდიაში.

მოსკოვი, 17 იანვარი. რადიო. ირლანდიის მემანქანეების, მექანიკოსების და ცეცხლის შემკეთებელთა საოლქო საბჭომ და რკინისგზელთა კავშირმა წინადადება მისცეს ყველა რკინისგზელ მუშებს 14 იანვარს შუაღამისას გამოაცხადონ გაფიცვა ნიშნად პროტესტისა სამუშაო ქირის შესამჩნევით შემოკლებისა და ადმინისტრაციის მიერ მუშაობის პირობებში თავხედათ ჩარევის წინააღმდეგ.

⁂

საფრანგეთის ახალი მთავრობა

ბორდო. 17 იანვარი (რადიო). რეიმონდ პუანკარემ ინახულა ბრიანი. 16 იანვარს პუანკარემ აცნობა მილიერანს ახალ კაბინეტის შემადგენლობა. შეხვედრის შემდეგ პუანკარემ მოიწვია ახალი მინისტრები საბჭოს პირველ სხდომაზე, სხდომას დაესწრო მილიერანი. ახალ კაბინეტში შედიან ყველა პოლიტიკურ ჯგუფების, დეპუტატთა პალატის და სენატის წარმომადგენლები გარდა მემარჯვენე სოციალისტებისა—მთავრობის გან-

---

კომპარტიის სრულიად რუსეთის კონფერენცია

ამხ. ბოგდანოვის მოხსენება დღის წესრიგის მეორე კითხვაზე

მრეწველობა

ჯერ მინდა გაკვრით შევჩერდე მრეწველობის მდგომარეობის დახასიათებაზე და იმ მიზეზებზე, რომელთაც გამოიწვიეს ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის შეცვლა. ჩვენი მდგომარეობა მძვავდება არა მარტო იმ გარემოებით, რომ ფაბრიკა ქარხნების ნაყოფიერება მეტისმეტად მცირეა, რომ იგი (ნაყოფიერება) სასტიკად დაეცა რევოლუციამდე არსებულ წარმოებასთან შედარებით, მდგომარეობა გაძნელებულია იმიტომაც, რომ მრეწველობის განვითარების ტემპი, რომელმაც თავი იჩინა 1920 წელში, 1921-ში შეჩერდა. ქვანახშირის ამოღების ზრდა, რომელიც დაიწყო 1920 წ. მეორე ნახევარში მარტიდან, სასურსათო კრიზისის გამო, თანდათან მცირდება, ხოლო ივლისში თითქმის სავსებით ისპობა. იგივე ხდება ნავთისა და მრეწველობის სხვა დარგებშიც. მეტალურგიის დარგში, ის გამოცოცხლება, რომელსაც 1920 წ. ადგილი ჰქონდა სამხრეთში და ნაწილობრივ ურალზე, 1921 წელში, სათბობი მასალის უქონლობის გამო,—რაიც თავის მხრივ გამოწვეული იყო უსურსათობით,—სავსებით შეწყდა, და ციფრი, რომელიც ჩვენა გვაქვს 1921 წ. ივლისისათვის, არ აღემატება იმას, რომელიც 1920 წ. მეორე ნახევარში გვქონდა. ამ გვარად საქმის გაუმჯობესება ჩაიშალა სურსათის ნაკლებობის გამო.

აბსოლუტური ციფრები ჩვენი წარმოების შედარებისათვის ომამდე არსებულ წარმოებასთან გვაძლევს შემდეგს: თუჯი გვაქვს თითქმის 3 პროცენტი იმისა, რაც ომამდე მუშავდებოდა, ბამბის ნაქსოვი თითქმის 7 პროცენტი და, მრეწველობის სხვა ცალკე დარგში, უკეთეს შემთხვევაში—25—30 პროცენტი. აღნიშნული ციფრები ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ასეთ პირობებში სუსტად განვითარებულ მრეწველობაზე დაყრდნობა შეუძლებელია და საჭირო იყო სათანადო ზომების მიღება. ამხ. კამენევმა დაახასიათა მდგომარეობა. მე მხოლოდ აღვნიშნავ თუ რა სპეციალური პირობები უნდა განვავითაროთ და განვამტკიცოთ ჩვენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის სფეროში, რათა ჩვენ მსხვილ მრეწველობას,—იმას, რომელზედაც ჩვენ უნდა ავაშენოთ პროლეტარული სახელმწიფოს ძლიერება,—გაეხსნას გზა შემდეგი განვითარებისა.

რომ მსხვილი მრეწველობა ნამდვილად იქცეს საფუძვლად ჩვენი სახელმწიფოსათვის, იგი უნდა დარჩეს ჩვენს ხელში, არა დაქსაქსული, არამედ მთლიანად შეკრული. ამაში მდგომარეობს პოლიტიკური მნიშვნელობა მრავალ ღონისძიებათა, რომელიც ჩვენ უნდა განვახორციელოთ ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე.

უნდა აღვნიშნოთ რომ მხოლოდ ის მმართველობა დასძლევს სავსებით თავის ამოცანას, რომელსაც ახსოვს მარტო თავისი წარმოება და ზრუნავს მოაწყოს იგი რაც შეიძლება რაციონალურად. ისპობა თუ არა ამით გეგმური მეურნეობა როგორც ასეთი? არა. ხდება მხოლოდ შრომის განაწილება, მოვალეობათა განაწილება: ჩვენი ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოები შეიმუშავებენ გეგმას და ხელმძღვანელობას გაუწევენ ცალკე სახელმწიფო წარმოებათა მოქმედებას. რომ ჩვენ ეს წარმოებანი გავუშვათ, ასე ვსთქვათ, თავისუფალი ბაზარზე, მაშინ მართლაც ჩავაყენებდით მათ კერძო—კაპიტალისტურ მეურნეობის პირობებში. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ეს ასე არ არის.

პრაქტიკულად ჩვენს წინაშე სდგას ძირითადი საკითხების ორი ჯგუფი, ორგანიზაციული და მომარაგების ხასიათისა. ჩვენ მიგვაჩნია აუცილებლად ჩვენი მსხვილი მრეწველობის ორგანიზაცია, მსხვილი სახელმწიფოებრივ გაერთიანებულ წარმოებათა დაარსების პრინციპზე, ან ტრესტების პრინციპზე,—როგორც ეხლა უწოდებენ გაერთიანებულ საწარმოო დაწესებულებებს. ჩვენ ვცდილობთ, უფრო სწორად, ვცდილობთ ჩვენი მრეწველობა გავმართოთ ტრესტების დაარსების განსაზღვრული გეგმით. ეს არ არის სტიქიური მოვლენა, რომელიც თავში სცემს ჩვენ ორგანოებს და ქმნის ტრესტებს უგეგმოთ. პირიქით ამ მოვლენას საფუძვლად უდევს პრინციპი ტრესტის დაარსებისა თვითეულ ცალკე მრეწველობაში, რაიც საშუალებას მისცემდა სახელმწიფოს იყოს მისი სრული ბატონ-პატრონი და თავის ხელში მოაქციოს პროდუქტების მაქსიმალური რაოდენობა. რა გეგმით უნდა სწარმოვდეს ჩვენი მრეწველობის ტრესტებად მოწყობა? რა თქმა უნდა, ტრესტების დაარსების პლანი გავრცელდება განსაკუთრებით ფართო წარმოებაზე, მრეწველობის ისეთ დარგზე, რომელსაც ზოგად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ცხადია ჩვენ ვცდილობთ მოვახდინოთ ისეთი სამეურნეო გაერთიანება, სადაც შეძლებისდაგვარად შეკრული იქნება მთელი სამეურნეო პროცესი. სათბობს ჩვენ უკავშირებთ ნედლ მასალასა და ქარხანას, რომელიც ნედლი მასალისაგან ქმნის ფაბრიკატს. ჩვენ ვცდილობდით ერთი ოლქის წარმოებათა გაერთიანებას, ე. ი. ისეთ წარმოებათა, რომელნიც ტერიტორიალურად ახლო არიან ურთიერთშორის,—მიზანი ის იყო, რომ, რაც შეიძლება უკეთ გამოგვეყენებინა ამ რაიონის მიმოსვლის გზები.

ჩვენს წინაშე სდგას საკითხი,—სად და როგორ განვსაზღვროთ გავლენის სფერო ჩვენ მსხვილ სახელმწიფო ტრესტების მრეწველობასა და ჩვენს მრეწველობას შორის მთლიანად რომელიც უმთავრესად, საბჭოთა მე 8 ყრილობის შემდეგ, დაექვემდებარა სათანადო ადგილობრივ ორგანოებს უნდა აღვნიშნოთ, როგორც ძირითადი დებულება, რომ ყველა წარმოება ყოველი პირველი კატეგორიისა, რომელიც იმყოფება ცენტრალი ორგანოების განკარგულებაში და მათ განკარგულებაშივე დატოვა მე-8 ყრილობამ, ყველა ეს წარმოება, სავსებით და პირველ რიგში უნდა მოეწყოს ტრესტების პრინციპის ნიადაგზე. მაგრამ სახელმწიფოებრივ მიზანშეწონილი გაერთიანებისათვის. საჭიროა ამ მთავარ საწარმოო დაწესებულებებს შეუერთოთ დამხმარე წარმოებანი, რომელნიც საგუბერნიო ორგანოების განკარგულებაში შედის. აქ ჩვენი განსაზღვრის საკითხი საგუბერნიო სახალხო მეურნეობის საბჭოსთან სწყდება იმ ნიადაგზე, რომ ყოველგვარი გამორიცხვა წარმოებისა საგუბერნიო სახალხო მეურნეობის საბჭოს გამგებლობიდან, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით.

ტრესტი უნდა მოეწყოს სხვა საფუძველზე, ვიდრე ჩვენი უწინდელი მთავარი განყოფილებანი (გლავკი); აქ სასტიკად დაცულია პრინციპი განაწილებისა, მმართველობისა და მოწესრიგებისა. ტრესტი, რომლის გამგებლობაში და განკარგულებაში იმყოფება ყველა რესურსები, რომელიც მას მიეცა, განსხვავდება მთავარ განყოფილებისაგან, რომელიც თავის დროზე იყო მმართველი, მოწესრიგებელი, გამანაწილებელი და აღმრიცხველი ამა თუ იმ მრეწველობის ყველა საწარმოო დაწესებულებისა. ტრესტის განკარგულებაში არის მხოლოდ განსაზღვრული ჯგუფი წარმოებათა. ტრესტი თავისუფალია თავის მოქმედებაში. მას აქვს სრული უფლება და შესაძლოება, სამეურნეო კამპანიის გადაწყვეტის დროს აირჩიოს ის ხაზი, რომელიც მისთვის უმეტესად გამოსადეგი და სასარგებლოა. აქ არის სამეურნეო განკარგულებათა თავისუფლება, რაიც არ ჰქონდა მთავარ განყოფილებას და არც მის ქვემდებარე წარმოებას. გარდა ამისა ტრესტი არსებობს სამმართველოს ცენტრალ ორგანოსთან, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მრეწველობის დარგების სათანადო სამმართველოსთან; ამ მთავარ სამმართველოს რჩება გადასაწყვეტად საკითხების განსაზღვრული კატეგორია, სახელდობრ: საგეგმო ხასიათის კითხვები, სადაც შედის მომარაგება, ფულის ნიშნები, სამონოპოლიო პროდუქტები, ნედლი მასალა და სხ., და აგრეთვე კონტროლი. თავისთავად ცხადია ტრესტი უნდა იყოს კონტროლის ქვეშ. ამისათვის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან რჩება სათანადო სახელმწიფოებრივი ორგანოები, მრეწველობის დარგების მთავარ სამმართველოთა სახით, რომელთაც, ტრესტის დაარსების მიხედვით, უნდა შეამცირონ თავიანთი აპარატები. ჩვენ დაგვრჩება [illegible] ორგანიზაცია, სადაც სახელმწიფოს როგორც ასეთს, აქვს მნიშვნელოვანი ორგანო ზედამხედველობისა, კონტროლისა და დაგეგმვისათვის. მეორე მხრით არსდება თავისუფალი სახელმწიფოებრივი გაერთიანება ტრესტების სახით, რომელიც ახორციელებს მმართველობის ყველა ფუნქციას. აქ უნდა აღინიშნოს, რომ საგუბერნიო სახალხო მეურნეობის საბჭოები ახალი პირობების გამო სრულიად ჰკარგავენ უშუალო დამოკიდებულებას სათანადო მთავარ განყოფილებებთან. ამის გამო, მთავარ განყოფილებათა (გლავკიზმის, ყველა ელემენტი სავსებით გაუქმებულია.

ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ და გავაძლიეროთ კავშირი პროფესიონალურ კავშირებთან. სახალხო კომისართა საბჭოს ნაკაზი ხაზს უსვამს ჩვენ საორგანიზაციო მუშაობაში პროფესიონალურ კავშირთა ფართო ჩარევის აუცილებლობას. პროფესიონალურმა კავშირებმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ტრესტების გამგეობის ორგანიზაციის საქმეში: საქმის ინტერესები მოითხოვს აგრეთვე, რომ პროფესიონალურმა კავშირებმა მონაწილეობა მიიღოს ტრესტში შესული ცალკე წარმოების დირექტორის დანიშვნაში. მე აღარ ვიმეორებ იმის შესახებ, რომ უფლება საწარმოო პროგრამის შემუშავებისა და მათი განხილვისა [illegible] სავსებით უნდა იქნეს დაცული პროფესიონალური კავშირებისათვის.

საერთოდ ორგანიზაციის იმ ფორმამ, რომელიც ჩვენ ეხლა უნდა შევქმნათ, უნდა ჩააყენოს მრეწველობა ისეთ პირობებში, რომ მან შესძლოს გაუძლოს კონკურენცია კერძო მწარმოებელს და მომავალში კონცესიონერებსაც; ეს ფორმა მოგვცემს საშუალებას რაც შეიძლება იოლად და თავისუფლად იქნეს გამოყენებული ის რესურსები, რომელიც წარმოებას ეძლევა.

ერთის მხრით ტრესტების ორგანიზაცია და მეორეს მხრით საგუბერნიო სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის დამოუკიდებლობის მინიჭება გუბერნიების ფარგლებში,—არის ერთად ერთი სწორი ფორმა, რომელმაც ეკონომიური პოლიტიკას ახალ პირობებში უნდა მოგვცეს საუკეთესო შედეგები. მსხვილი მრეწველობის მუშათა მომარაგების უზრუნველყოფის საკითხში უწინარეს ყოვლისა უნდა დავადასტუროთ, რომ ჩვენ მრეწველობის აღდგენას შევუდექით და სატრიალებელი კაპიტალი კი არა გვაქვს. ჩვენი ფონდები ამოიწურა თითქმის სავსებით და რადგანაც ეს რესურსები გარედან ისე სასწრაფოდ არ შემოდის, როგორც ეს ჩვენთვის საჭიროა, ამიტომ უნდა ვიფიქროთ და ვილაპარაკოთ, რომ ეს რესურსები შიგნით მივიღოთ, პირველ რიგში, ჩვენი სავაჭრო ოპერაციების გაფართოებისა და განვითარების საშუალებით, ჩვენ საქონლის ტრიალის გაძლიერებისა და დაჩქარების საშუალებით. ამ ტრიალის შედეგათ ჩვენ გვექნება შეძლება სწრაფად და უკეთ უზრუნველვყოთ ჩვენი ქარხანა ფაბრიკები, ხოლო გავაძლიერებთ რა მათ მოქმედებას, ავაწევთ რა მათ ნაყოფიერებას ჩვენ მივაღწევთ მზა საქონლის რაოდენობის ფრიად მნიშვნელოვან გადიდებას. ჩვენი მრეწველობა იმ საწარმოო პროგრამით, რომელიც შედგენილია 1922 წლისათვის იარსებებს უდეფიციტოდ მშვიდობიან დროის ფასებით ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ 900 მილიონი მან. საქონელი.

ეხლა ვნახოთ, ვის უნდა მისცეს ჩვენმა მრეწველობამ თავისი პროდუქ-

კარგულებით, ერთი მინისტრის თანამდებობა, 4 ვიცე სეკრეტარისა და სამ უმაღლეს კომისარის, რომლებიც იმყოფებოდნენ საფრანგეთის გავლენის რაიონებში და ამზადებდნენ კოლონიალურ ჯარებს, გაუქმებულია. ეს ზომა მაჩვენებელია იმის, რომ საფრანგეთს სურს გაატაროს ცხოვრებაში მკაცრი ეკონომიური გეზი.

პუანკარეს კაბინეტის შემადგენლობა.

ბორდო, 17 იანვარი. რადიო რაიმონდ პუანკარეს კაბინეტი შესდგა შემდეგი შემადგენლობით: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი—რ. პუანკარე, იუსტიციის და ელზას ლორენის მინისტრი—ლუი ბარტუ, სამხედრო და პენსიის—მაჟინიუ, საზღვაო—რობერტი. ფინანსების—ლასტეირი, შინაგან საქმეთა—მონური, სახალხო განათლების ლეონ ბერარი, საზოგადო სამუშაოები—ლეტროკერი, მიწ დამოქმედების—შერონ, კოლონიის—ალბერტ სარო, ვაჭრობის და განთავისუფლებულ ადგილების—რებელი, შრომის—პეირონი, ჰიგიენის—სტრაუსი. სტატს სეკრეტარები: საბჭოს თავმჯდომარე—კოლრატი, სავაჭრო ფლოტის—რის ლადუნი, ტეხნიკურ სწავლების—ვიდალი, ჰაერონავტიკის—ლორენ ეინაკი.

ახალ კაბინეტის მინისტრთა საბჭოს პირველი სხდომა შესდგა ორშაბათს რ. პუანკარეს ბინაზე.

კაპიტალიზმის სამეფოებში

საფრანგეთი

საფრანგეთის კომპარტიის კონგრესი.

მოსკოვი, 17 იანვარი (რადიო). უკეთესს რა ჯამს საფრანგეთის კომპარტიის მარსელის კონგრესს კაშენი გაზეთ „იუმანიტეში“ ხაზ გასმით აღნიშნავს, რომ გასულ წლის ტურის კონგრესის შემდეგ საფრანგეთის კომპარტია შესდგა რევოლუციონურ სოციალიზმის გზაზე. პარტია ძლიერია, ახალია და თავის შემადგენლობით ნამდვილი მუშურ-გლეხური პარტიაა. აღნიშნავს რა პარტიის მუშაობას პროპაგანდის და სოციალურ რევოლუციისათვის მებრძოლების მომზადების საქმეში, კაშენი ამბობს, რომ პარტიის ცკამ, რომელმაც დაისახა ეხლა მუშაობის დიდი გეგმა, გამოიჩინა სურვილი მასებთან მეტად მჭიდრო კონტაქტის დაჭერისა. მომავალ სოციალიო რევოლუციის სამსახურის ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება მდგომარეობს მტკიცე მებრძოლი პარტიის შექმნაში, რომელიც იქნება მუშათა კლასის [illegible] ნი საერთო თავდადება მესამე ინტერნაციონალისათვის. სწერს კაშენი, თითოეულ ჩვენგანის შედარებითი წონა არ განისაზღვრება ფორმულებით, არამედ მხოლოდ ძმურ შეჯიბრებით და აგიტაცია—პროპაგანდით. შესაძლებელია ცალკე პირების ძალებს შეეფა ება შეგრამ ვერავინ, როგორიც არ უნდა იყოს მისი ღირსებები, ვერ გაბედავს დაუპირდაპიროს პირადი ინტერესები პროლეტარიატის ინტერესებს. თუ ზოგიერთ ამხანაგებს არ ესმის ეს შემაიტება პარტიამ უნდა მოუწოდოს მათ დისციპლინისაკენ. თუ მარსელს შემდეგ კიდევ დარჩა პირადი ხასიათის უთანხმოებებზე, ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა მოვსპოთ ისინი. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ჩვენ მეგობრებს თავის გონების და გრძნობის მთელი ძალები შესწირონ რევოლუციისათვის მომზადების საქმეს. ჩვენ ავკიდეთ ჩვენ თავზე ეს ვალდებულება უსიტყვოთ მივემხროთ მესამე ინტერნაციონალს.

ამნისტია საფრანგეთში.

ბორდო. 13 იანვარი, (რადიო). საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მილიერანმა დაამტკიცა სამხედრო ამნისტიის კანონის პროექტი.

საბჭოთა რუსეთი და ფინეთი

ჩიჩერინის ნოტა.

მოსკოვი. 17 იანვარი, (რადიო). საგარეო საქმეთა სახ. კომისარმა ჩიჩერინმა ნოტით მიმართა ფინეთის მთავრობას კორელიაში მომხდარ უკანასკნელ ამბების გამო ამ ნოტაში ჩიჩერინი აღნიშნავს, რომ ფინეთმა დაიკავა საბჭოთა რესპუბლიკის მტრების მებრძოლ მოწინავე რაზმის მდგომარეობა. რუსეთის კონტრ-რევოლუციის ხელმძღვანელნი ფინეთის ტერიტორიაზე ძმობს ეფიცებიან ფინეთის იმპერიალიზმის უკიდურეს მებრძოლ ელემენტებს, რომლების მისწრაფება გამოიხატა ცნობილ რუქაში, სადაც ფინეთს რჩება ონეგა, პეტროზავოდსკი და პეტროგრადი. უეჭველია, რომ ფინეთის მთავრობამ დაარაზმა ბანდები, ამკლებნი და ჯალათები, რომლებიც სისხლსა ღვრიან და შიშის ზარსა სცემენ მთელ კორელიას და საშინელი სიკვდილით კლავენ კორელიის ხალხის საუკეთესო ელემენტებს. ამ კონფლიქტის მოსასპობათ, როდესაც თეთრ გვარდიელთა რაზმები უკვე დამარცხდნენ, რუსეთის მთავრობა მოითხოვს, თავდასხმის ყველა მონაწილეების განიარაღებას და ბანაკებში დაბინავებას, იარაღის გადაცემას საბჭოთა მთავრობის ხელში. ყველა ორგანიზაციების დახურვას, რომელნიც შექმნილნი არიან კორელიის აჯანყების ხელის შესაწყობათ და ყველა იმ სხვა ორგანიზაციების მოქმედების მოსპობას, რომელნიც ისახვენ იმავე მიზანს. დასასრულ რუსეთის მთავრობა მოელის ფინეთის მთავრობისგან იმ ვალდებულების აღიარებას, რომელიც აკისრებს ყველა ზარალის სრულ მატერიალურ ანაზღაურებას. (დასასრული არაა მიღებული.)...

ცია. თუმცა აღნიშნული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენი უნდა გადავცეთ სახელმწიფოს ორგანოებს არმიის უზრუნველსაყოფად, გზათა და სასურსათო კომისარიატებს და სხვ.. მთელი ჩვენი პროდუქცია უნდა ჩავაბაროთ სახელმწიფოს. რომ ვიანგარიშოთ ნედლი მასალის ნაღდი რაოდენობის ღირებულება, რომ ავასრულოთ შინაგანი ტრიალი ჩვენი პროდუქტებისა,—სათბობი და ნედლი მასალისა, რომ გამოვაკლოთ სახელმწიფოს დახმარება, რომელიც გვეძლევა მაგ. ტრანსპორტის დათმობის სახით, და სხვ. ჩვენ დაგვრჩება 460 მილიონი მან. ოქროთი, რომელიც ჩვენ საიდანღაც უნდა დავფაროთ. ამ 460 მილ. მან. დასაფარავად სახელმწიფო გვაძლევს ფულის ნიშნებით და სურსათით არა უმეტეს 150 მილიონისა ჩვენი ოქროს მანეთით. თუ დაუმატებთ აქ იმას, რასაც უცხოეთში ყიდულობთ და ზოგიერთ სხვა ციფრსაც, საერთოდ გვექნება 300 მილიონ მანეთამდე ოქროთი, რომელიც უნდა დაფარულ იქნეს, რათა ჩვენმა მრეწველობამ იმუშაოს. ეს 300 მილიონი შეიძლება დაიფაროს, თუ ჩვენ გვექნება უფლება, რომ პროდუქციის უწყვეტელი ნაწილი, ან მთელი მისი რაოდენობა 300 მილიონი მანეთისა გაუშვათ ტრიალში, რათა მისი რეალიზაციით ქარხანა ფაბრიკებისათვის მივიღოთ სურსათი, ნედლი მასალა და მით გავადიდოთ წარმოება, გავაცხოველოთ იგი და უზრუნველვყოთ მისი შემდეგი განვითარება. არის მესამე გზა ამ თანხის დაფარვისა—ეს არის ექსპორტი უცხოეთში. ამ გვარად მთავარი საქმე არის ვაჭრობა და ამიტომ საკითხი ვაჭრობის მოწესრიგებისა არის სრულიად აუცილებელი. რამდენადაც ჩვენ ხელში გვიჭირავს მთელი ვაჭრობა, ყველა მსხვილი სავაჭრო ოპერაცია და საქონლის ტრიალი. იმდენად ჩვენ სრული შეძლება გვაქვს მოვაწესრიგოთ ნარდათ ვაჭრობა სათანადო ორგანოების მეშვეობით: სავაჭრო განყოფილებანი, ცენტრალი ბირჟა, რომელსაც ჩვენ ვხსნით ცენტრალ კავშირთან ერთად და სხვ. აქ ჩნდება ერთი აუცილებლობა, რომ უნდა გვქონდეს მეურნეობის წარმოების საერთო პლანი:

ჩვენ შევეცადეთ შევიმუშაოთ სრულიად სწორი საქონლის პოლიტიკა, ჩვენ ხელში არსებული საქონლის ბაზარზე განაწილების აზრით. ეს ამოცანა პრაქტიკულად არა განუხორციელებელი, რეალი ამოცანაა, მაგრამ რომ იგი განვახორციელოთ, საჭიროა გამოვიყენოთ ყველა ის აპარატი, რომელიც შექმნა მეურნეობის პრაქტიკული წარმოების გამოცდილებამ. უნდა გვ ხსოვდეს მხოლოდ, რომ თუ ეკონომიური პოლიტიკის ახალ პრინციპებს, მათი პრაქტიკულად განხორციელების დროს, წინ გადაეღობა ასეთი დაბრკოლებანი, ნელდება ტემპი მოქმედებისა, ხოლო ტემპი ჩვენთვის არის უდიდესი მნიშვნელობის საკითხი. უკანასკნელი ცნობები, რომელიც ჩვენ გვაქვს მრეწველობის მრავალი დარგისთვის, უჩვენებს, რომ დონის ქვანახშირის ამოღება, რომელიც ივლისში სრულიად მოისპო, ნოემბერში უდრის 40—45 მილიონ ფუთს. ბაქოს რაიონი გაზაფხულიდან თანდათან ეცემოდა, ხოლო ენკენისთვეში წინსვლა იწყო და მოიცვა —ოქტომბერში—12 ნახ, ნოემბერში —13 ნახ., ხოლო დეკემბერში გვპირდება 15 ს, ამასთანავე თვით მუშაობა გაუმჯობესდა. ბამბის მრეწველობაში ვიღებთ 4 მილიონი არშინს ენკენისთვეში, მრეწველობა თანდათან ვითარდება და ნოემბერში მოგვცა 18 მილ. არშინი, ხოლო დეკემბერში,—პირველი ნახევრის ცნობების მიხედვით,—უნდა მივიღოთ 25—26 მილიონი. ბოლოს სახალხო მეურნეობის მოსკოვის საბჭოს დიაგრამა და დაინახავთ, რომ შემოდგომიდან იწყება წარმოების ნაყოფიერების ზრდა. რომ ამ წინსვლამ მოგვცეს მაქსიმალური შედეგები, უნდა იქნეს მიღებული ყოველგვარი ზომა, რათა ეს ზრდა არ შესწყდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ რამდენიმე თვით დავიხევთ უკან და ახალი გაცხოველების დაწყება უფრო ძნელი იქნება. რომ ეს შეფერხება არ მოხდეს, ის პრინციპები რომელიც აქ წამოაყენა ამხ. კამენევმა, რომელიც რეზოლუციის სახით წარმოდგენილია საბჭოთა ყრილობაზე და რომლის გარშემო აქ კამათი გაიმართება,—ეს პრინციპები იქნება ჩვენთვის სრულიად აუცილებელი.

ქრონიკა

◆ **სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა დღე.** 26 იანვრის, ქართვ. სტუდენტთა ტრადიციული დღის, მომწყობი კომისიის სარედაქციო კოლეგია სთხოვს ამხანაგებს, რომლებსაც სურთ ამ დღისათვის დანიშნულ საგანგებო გაზეთში მონაწილეობა მიიღონ, გამოგზავნონ ყოველგვარი საგაზეთო მასალა 3 დღის განმავლობაში სტუდენტთა სასადილოში, სასადილოს გამგეობის სახელზე.

◆ **საქალაქო აღწერა** საქართველოს ს. ს. რ. ქალაქების მოსახლეობის ერთდღიური აღწერა განზრახულია მოსახდენ თებერვალში. ამ აღწერისთვის ბარათები შეადგინა და დაამტკიცა ცენტრ. სტატისტ. სამმართველომ; მოწყობილია აღწერის ცენტრალური ბიურო.

◆ **ხარჯთ-აღრიცხვების შედგენა.** სახალხო კომისარიატების უმეტესობამ უკვე წარუდგინა ფინანსთა კომისარიატს თავიანთი შემოსავლის და გასავლის აღრიცხვები. ზოგიერთი დიდი კომისარიატები აგვიანებენ ხარჯთ აღრიცხვების გამოგზავნას იმის გამო, რომ მათ ჯერ არ მიუციათ ცნობები ადგილობრივ დაწესებულებათა ხარჯთ-აღრიცხვების შესახებ. ამ კომისარიატებისგან ხარჯთ-აღრიცხვების მიღებას მოელიან არა უგვიანეს 15 იანვრისა, ხოლო იანვრის გასულს შედგენილ იქნება საერთო ხარჯთ აღრიცხვის პროექტი.

◆ **საბჭოთა დაწესებულებების შემჭიდროება** თბილისის აღმასკომმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას საქართველოს რევკომის წინაშე, რომ მოხდეს განმტვირთავ და საბჭოთა დაწესებულებების შემჭიდროების კომისიების რეორგანიზაცია და რომ ეს კომისიები დაექვემდებარონ თბილისის აღმასკომს.

◆ **სოციალურ აღზრდის მთავარი მმართველობა.** სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობის კოლეგიამ აუცილებლად სცნო მოაწყოს საბავშვო წარმოდგენები, რისთვისაც უნდა გამოიყენონ ერთ ერთი მცირე თეატრი. სოც. აღზრდის მთ. მმართველობას განზრახული აქვს გახსნას მთელი რიგი საბავშვო კლუბებისა. ამას გარდა აარსებენ ცენტრალურ საბავშვო ბიბლიოთეკას, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს პირველ საფეხურის სკოლების და საბავშვო დაწესებულებათა საჭიროება. სოც. აღზრდის მთ. მმართველობას განზრახვა აქვს მოაწყოს ცენტრალური პედაგოგიური ბიბლიოთეკა. პედაგოგიური ბიბლიოთეკებით მომარაგებულ იქნებიან ყველა საცდელ-მაჩვენებელი დაწესებულებანი. სოც. აღზრდის მთ. მმართველობას სურს შეიძინოს რამდენიმე ადგილი კონსერვატორიაში იმ ბავშვებისთვის, რომლებიც საბავშვო ბაღებში გამოიჩენენ მუსიკალურ ნიჭს.

◆ **სტატისტიკური ატლასი.** 12 იან. სხდომაზე თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა გაუხსნას ქალაქის სტატისტიკურ ბიუროს 29 მილიონი მანეთის კრედიტი ქალაქ თბილისის სტატისტიკურ ატლასის გამოსაცემათ. ეს ატლასი გამოცემული იქნება 2,500 ცალი და გამოვა გასაყიდათ. ამ შემოსავლით ფიქრობენ გამოცემის ხარჯების დაფარვას.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

საგარეო ვაჭრობა.

ბათუმის ნავთსადგურში.

6 იანვარს გემმა „დზერჟინსკი“-მ გახსნა რ. ს. ფ. ს. რ. გემების ახალი რეისი ანატოლიის ნავთსადგურებში. გემის რეისი—ბათუმ ტრაპიზონი. გემ „დზერჟინსკი“ სიმსუბუქის გამო უძლებს ზღვის თხელ ხაპერებსაც.

ინგლისის გემთა კამპანიას „კიუნარდ“-ს განზრახული აქვს განაახლოს თავიანთ გემების რეისი ბათუმში.

23 დეკემბერს მოვიდა პირველი გემი „მირიანტი“ 200 ტონი ტვირთით და 1 მგზავრით და 1 იტალიანი გემი, წავიდა ორი გემი „არტეზია“ სოხუმში და „სარდინია“ სტამბოლში, რომლებმაც წაიღეს 16 ტონი სხვა და სხვა ტვირთი და წაიყვანეს 49 მგზავრი. წავიდა 13 იალქნიანი და ბუქსირიონი გემი, რომელთაც წაიღეს ნავთი 4,000 ფუთი, მარილი 1000 ფუთი და—350 ფუთი სხვა და სხვა საქონელი.

24 და 25 დეკემბერს მოვიდა 2 გემი „დალმაცია“ და „არნოლია“ —1600 ტონი ტვირთით და 106 მგზავრით. იალქნიანი გემი მოვიდა 10—300 ფუთ ტვირთით. წავიდა ორი გემი „კარმარო“ სტამბოლში და „ტელრუბო“ ტრაპიზონში, რომლებმაც წაიღეს 2800 ფუთი ნავთი, 20 ტონი სხვა და სხვა საქონელი და წაიყვანეს 60 მგზავრი. წავიდა 15 იალქნიანი და ბუქსირიანი გემები—წაიღეს 3075 ფუთი ნავთი და მარილი 200 ფუთი.

31 დეკემბერს და 1 იანვარს მოვიდა ორი გემი „დემონი“ და „დიმიტრი“—მოიტანეს 3600 ფუთი 2 სხვა და სხვა საქონელი და მოიყვანეს 299 მგზავრი. წავიდა გემი „შევალოდა“ —სტამბოლში—წაიღო 24000 ტონი სხვა და სხვა საქონელი და წაიყვანა 49 მგზავრი. იალქნიანი გემები წავიდა 2 307 ტონი ტვირთით.

2 იანვარს მოვიდა 3 გემი: „ადრია“, „დიმიტრი“ და „ბარმიდა“—1014 ტონი ტვირთით და 104 მგზავრით. წავიდა ფოთში გემი „ტრედენგამი“. წავიდა 2 იალქნიანი გემი 70 ფუთ. ტვირთით. ნავთის ყველა საწყობები და ქალაქში ყველა არსებული საწყობები გავსებულია საქონლით. საექსპედიციო კონტორები დიდ გაჭირვებას განიცდიან — ვინაიდან აღარ არის ადგილი რომ გადმოტვირთონ საქონელი ახლად მოსულ გემებიდან.

ინგლისის გემი „ტრაუგვა“, რომელმაც მოიტანა ავსტრალიიდგან პური გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობისათვის, ბათუმში ნაწილობრივ გადმოტვირთვის შემდეგ წავიდა ფოთში გადმოტვირთვის დასათავებლად.

ნოვოროსისკს, ბათუმსა და ანატოლიის შორის დამყარდა რუსეთის გემთა მიმოსვლის მუდმივი ხაზი.

უცხოეთის ფირმები.

უცხოეთის ფირმათა რაოდენობა, რომლებიც გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს ბათუმში და სცდილობენ ისარგებლონ ამიერ-კავკასიის ბაზრით, იზრდება სტამბოლიდან თითქმის ყოველ სამგზავრო გემის მოსვლით. უცხოეთის კაპიტალი ამ ჟამად გაფაციცებით მოისწრაფის ამიერ კავკასიაში და აზერბაიჯანით მიილტვის თურქესტანში. ანახლებენ თავიანთ მოქმედებას ფართო მასშტაბით ზოგიერთი წარმოებანი, რომლებიც მუშაობდნენ მენშევიკების ხელისუფლების დროს. [illegible] უსავილესი კონსორციუმი „ექსპორტადორა—იტალიანო-ორიენტალი“, რომელსაც აქვს 40 ფაბრიკა ბარსელონაში და რომელსაც გააჩნდა ამიერ კავკასიდგან დიდ ძალი ხე ტყე, წინადადებას იძლევა ისარგებლოს ამიერ კავკასიით ისპანიის მრეწველობის ფაბრიკატების გასასაღებლად.

ისპანეთის ფირმები ძლიერ დაინტერესებული არიან ამიერ-კავკასიით და რუსეთით, იგინი იმედოვნებენ გაიტანონ მათთვის ძლიერ საჭირო ხე ტყე, ბამბა და სხვა ნედლი მასალა. ბელგიის ფირმამ „ალჯუედ გოხურმა“ გადასწყვიტა გაატაროს თავის ფაბრიკატები სპარსეთის ბაზარზე თავრიზით; ამიტომ აღძრა შუამდგომლობა საგარეო ვაჭრობის წინაშე, რათა ამას გარდა მიეცეს ნებართვა სპარსეთში მედიკამენტების დიდი პარტიის გასაგზავნად, რომლებიც არ იქნებიან შექმნილი საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო დაწესებულებების მიერ. ბელგიის მძიმე მრეწველობის სინდიკატმა იმავე ფირმის საშუალებით წინადადება მისცა ნავთის ცენტრალურ სამართველოს, ბაქოს ნავთის საიმრეწველოებისათვის საჭირო ტეხნიკურ მასალის მიწოდების შესახებ. იმავე წარმოებამ, რომელიც ომამდი აწარმოებდა მთელ კავკასიის ტერიტორიაზე მატყლის ექსპლოატაციას, აღძრა საბჭოთა ხელის უფლების წინაშე შუამდგომლობა ფირმის კუთვნილ მატყლის სარეცხავების დაბრუნების შესახებ, რომლებიც იყო დონის და ყუბანის ოლქების სხვა და სხვა ადგილებში. ბაქოში მოვიდა იტალიის მსხვილ ფირმის და „გულ“-ს დირექტორი, რომელიც არის საბჭოთა რუსეთთან ვაჭრობის დაწყების ერთი პირველი ინიციატორთაგანი ამ ფირმამ გამოგზავნა მენშევიკების დროს საქართველოში გემი „აბკოფა“, რომელიც მოვიდა ბათომში და შემდეგ საფრანგეთის ბლოკადის შიშით წავიდა ნოვოროსისკში.

მრეწველობა.

თამბაქოს მრეწველობის კომერციულ ანგარიშზე გადასვლის შედეგები:

თამბაქოს მრეწველობა გადავიდა კომერციულ ანგარიშზე 15 ოქტომბრიდან. მიუხედავად ბევრ არა ხელსაყრელ პირობებისა, ახალ პრინციპზე აგებულმა მუშაობამ გასულ 2 ნახ. თვეში მოგვცა დადებითი შედეგები. პირველ აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე შტატში იყო 1412 მუშა. 8 ფაბრიკას ნაწარმოები უდრიდა:

პაპიროსი 81,600,000 ცალი, რაც შეადგენს საშუალოდ თითო მომუშავეზე 57,447 ცალს. თამბაქო 111,938 გირვანქა—მუშაზე—788 გირვანქა.

15 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდი იმავე ფაბრიკებში ამასთანავე ფაბრიკა „მირზას“ არ უმუშავნია 4 ნოემბრიდან, „ლევ“-ს პირველ დეკემბრიდან და „ილონის“ 12 დეკემბრიდან), შტატში იყო 1144 მუშა:

პაპიროსი 7,261,670 ცალი, ან თითო კაცზე 63,471 ცალი. თამბაქო 137 253 გირვანქა, თითო კაცზე 120 გირვანქა.

წარმოების განვითარების მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზს 1 ნახ. თვის განმავლობაში წარმოადგენდა ეტიკეტების უქონლობა, რაც აჩერებდა გამზადებულ ნაწარმოების გამოშვებას და რამაც დააგროვა ფაბრიკაში 22,000,000 ცალი უეტიკეტო პაპიროსი. თამბაქოს ტრესტმა ვერ შეასრულა წარმოების დასახული მიზანი, უფრო სწორედ რომ ვთქვათ შეასრულა მხოლოდ ერთი მესამედი, მაგრამ ჩვენ თუ მივმართავთ დამზადებულის რეალიზაციას, დავინახავთ, რომ 15 ოქტომბრიდან 21 დეკემბრამდი ტრესტმა გაყიდა:

პაპიროსი: 21 316,000 ცალი ანუ ნაწარმოების 29 პროცენტი, თამბაქო 23,161 გირვანქა, ანუ ნაწარმოების 17 პროცენტი.

ეს ციფრები გვიჩვენებს, რომ ტრესტის ფაბრიკებში თავი მოიყარა დამზადებულ ნაკეთობის მრავალმა, რომელთა არსებობის დროს მომზადებულ ბაზრის უქონლობის გამო წარმოების გადიდება არ არის რაციონალური. ამ მდგომარეობამ წამოაყენა ტრესტის წინაშე უცხო ბაზრის დაპყრობის საკითხი. ასეთ ბაზრებად შეიძლება იყოს აზერბეიჯანი, სომხეთი, სპარსეთი და სხვა.

ტრესტის მიერ სპარსეთის ბაზრის დაპყრობის ცდა ალბად წარჩინებით დამთავრდება. საჭიროა მიღებულ იქნას ზომები მის გასამტკიცებლად და გასაფართოვებლად, ამავე დროს უნდა დაუყოვნებლივ მიზობელ საბჭოთა რესპუბლიკების ბაზრებს და დავამტკიცოთ იქ ჩვენი მდგომარეობა.

საქართველოს თამბაქოს მრეწველობას აქვს ამისათვის ყველაფერი საჭირო პირობები ახალ პაპიროსების გამოშვებით, რომელთაც ექნებათ სახელწოდება საბჭოსი, შესაძლებელი იქნება თამბაქოს ნაწარმოების უცხო ბაზარზედაც გატანა.

ხოშტარიას ყოფილ ქარხნის იჯარით გაცემა

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დასდო ხელშეკრულება მოქ. ა. ხოშტარიასთან თბილისში არსებულ სახელმწიფო საპნის ქარხნის (ყოფილ სააქც. საზოგად. ხოშტარიასი) მისთვის იჯარით მიცემის შესახებ.

ხელშეკრულების ძალით ქარხანა ეძლევა ხოშტარიას იჯარით საპნის საწარმოებლად. ქარხანა უნდა აამუშაოს მოიჯარადრემ ორი კვირის განმავლობაში დღიდან მასზე ქარხნის ფაქტიურად გადაცემისა. მინიმალური ნაყოფიერება უნდა უდრიდეს წელიწადში 2400 ფუთ სარეცხი საპონს და 240,000 ნაჭერ ხელსაბანს.

იჯარის ვადა უდრის 5 წელს, ამასთანავე ყველა გაუმჯობესებანი, შენობები და მოწყობილებანი, რომლებსაც გააკეთებს მოიჯარადრე ამ ხნის განმავლობაში თავის ხარჯზე, ვადის გასვლის შემდეგ გადადის უსასყიდლოდ ს. მ. უ. ს. ხელში. საიჯარო გადასახადად მყარდება 6 პროც. ყოველნაირი ნაწარმოებისა მაგრამ არა ნაკლებ 12 ფუთ სარეცხი საპნისა და 1200 ხელის საპნისა თვეში.

ყველა დანარჩენი ნაწარმოები რჩება მოიჯარადრეს საკუთრებად, რომელიც რჩება მის სრულ განკარგულებაში. იჯარით აღებულ ქარხნის ამორტიზაციის ანგარიშში მოიჯარადრეს ყოველ 6 თვის შემდეგ შეაქვს ს. მ. უ. ს.-ში ხუთი პროცენტი—უძრავ ქონების ღირებულებიდან და 10 პროცენტი ქარხნის მოძრავ ქონების ღირებულებისა. ეს ქონება შეფასებულია ოქროს ფულით და გადასახადიც შეტანილ უნდა იქნას ოქროს ფულით ან და ქაღალდის ნიშნებით ოფიციალურ კურსის მიხედვით.

საქართველოს შრომის განყოფილებების გამგეთა პირველი ყრილობა

(19 დეკემბრის სხდომა, 1921 წ.)

ბეგარათა განყოფილების მოქმედება

ამხ. გოდაბრელიძის მოხსენება

ბეგარათა განყოფილება დაარსდა შრომის კომისარიატთან სულ მეოთხე თვეა. ამ მოკლე ხნის განმავლობაში მისი მუშაობა ჩატარდა უმთავრესად ბეგარათა საქმის თავის ხელში მოკრეფაში. მანამდინ მას ჰქონდა ანარქიის და უსისტემობის ხასიათი. ვისაც როგორ უნდოდა ისე ატარებდა მას, გამოყავდა სოფლელები და მათი ტვირთ საზიდავი საშუალებანი სამუშაოდ. დაწყებული სამეურნეო საბჭოდან, წითელ ჯარიდან და გათავებული ადგილობრივი რევკომებამდე ამ საქმეს ეწეოდა, და რასაკვირველია ამ პირობებში მას თავსა და ბოლოს ვერ მოუნახავდა ადამიანი. პირველი მუშაობა ამ განყოფილებისა გამოიხატა კახეთის რკინის გზის მესაკუთრებად სოფლელების გამოყვანაში. მას მოყვა გზა ტყცილების შეკეთება, არხების გაყვანა, ხე-ტყის მასალის დამზადება და სხვ. საერთო ციფრებში ჩვენი მუშაობა გამოიხატა შემდეგნაირად: გამოყვანილი იყო ბეგარაზე.

	მუშა ხელი,	ტვირთ-საზიდავი საშუალება:
აგვისტოში	289	
სექტემბერში	3131	141
ოქტომბერში	3116	15461
ნოემბერში	215	26761

სხვა და სხვა სამუშაოზე ეს ციფრები შემდეგნაირად ნაწილდებიან:

	მუშა ხელი	ტვირთ-საზიდავი საშუალება:
ხე-ტყის დამზადება	59986	12696
გზების შეკეთება	54980	19719
მელიორაცია	156444	1337
სურსათის გადაზიდვა	756	8271
[illegible]	495	
და [illegible]	4106	
სულ:	221781	42353

ეს რიცხვი მინიმალურია, რადგანაც ცუდ ინფორმაციის მიზეზით ადგილებიდან ვერ გვეტყობინებოდნენ ცნობებს ყველა იმ ბეგარაზე, რომელიც ხდებოდა მათ რაიონში.

სამუშაო ნორმა განსაზღვრული არ ყოფილა, მხოლოდ დაახლოვებით შრომის კომისარიატმა დაადგინა თვეში 4 დღის ბეგარა, როგორც შრომის, ისე ტვირთ საზიდავ საშუალებაზე. ეს რიცხვი არაფერზე არ ყოფილა დამყარებული და ხშირად ჩვენ ვხედავდით მისი გადიდება, როგორც მაგალითად კახეთის რკინის გზის შეკეთების დროს.

სამუშაო ქირა ბეგარაზე გამოყვანილთათვის იყო განსაზღვრული 50 პროცენტი საბაზრო ფასებისა. ეს დადგენილება უსიცოცხლო გამოდგა, ვინაიდან როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ამის გატარება ცხოვრებაში შეუძლებელია, რადგანაც თვით ბეგარის საჭიროება გამოწვეული იყო იმით, რომ სამეურნეო ორგანოებს არ ჰქონდათ საკმაო თანხები ქირის მისაცემათ. თითქმის ყველგან ბეგრები ტარდებოდნენ უფასოდ, წინააღმდეგ ჩვენი დადგენილებისა, ხოლოდ კახეთის რკინის გზის შეკეთების დროს აძლევდნენ ქირას, მაგრამ ის ბევრად გაცილებული იყო 50 პროც.-ს.

განსაზღვრული იყო აგრეთვე მანძილი—რადიუსი (30 ვერს. ტვირთ-საზიდავ საშუალებისათვის და 10 ვერ. ფეხით სასიარულო,) რომ მის ფარგლების გარეშე არ შეიძლებოდა ბეგარის გატარება. ამან შექმნა ის, რომ სოფლელების უმცირეს ნაწილს რომლებიც ახლოს იყვნენ სამუშაოებთან დააწვათ მთელი სიმძიმე, დანარჩენები კი თავისუფალი დარჩნენ.

ბეგარის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებისათვის, მისი მარტო ჩვენ ხელში მოგროვებისათვის დიდი მუშაობა დაგვჭირდა. წინ გვედობოდა მრავალი დაბრკოლებანი. არავინ არ გვეკითხებოდა და ყველა თავის ნებით მოქმედობდა. თვით მთავრობის № 69 დეკრეტით ტვირთ-საზიდავ ბეგარის გატარების ნება ეძლეოდა სამეურნეო საბჭოს ორგანოებს. ასეთი მდგომარეობა ჰქმნიდა აუტანელ მდგომარეობას, როგორც ცენტრში, ისე პროვინციაში. ქუთაისში მილიცია შემოსულ ურმებს იჭერდა და სამუშაოდ ჰგზავნიდა, რის შემდეგ ურმები სრულებით აღარ შემოდიოდენ ბაზარზე და ქუთაისი რამოდენიმე თვის განმავლობაში უშეშოთ იყო, ახალქალაქის და ახალციხის მაზრაში ტვირთ საზიდავი საშუალება განადგურებამდე მივიდა ჯარის ნაწილების წყალობით. ასეთივე მდგომარეობა იყო და ეხლაც არის, სამწუხაროდ, ბორჩალოს მაზრაში, სადაც გერმანელების მშვენივრად აღზრდილი საქონელი ისპობა ხშირი ბეგარაზე გამოყვანით. ყველაფერი ეს ერთი მხრივ სპობს სოფლის მეურნეობას, უშლის ხელს მის განვითარებას და მეორე მხრივ არღვევს სოფლების კეთილ განწყობილებას საბჭოთა წესწყობილებისადმი.

არის თუ არა საჭირო შრომის ბეგარა? ბევრს ჰგონია, რომ ეხლანდელ პირობებში, როცა ჩვენ გადავედით შრომის ახალ ორგანიზაციაზე, ე. ი. მუშახელის თავისუფალ დაქირავებაზე და საერთოდ იძულებითი პრინციპი უარვყავით. არ არის საჭირო შრომის ბეგარა.

ეს დიდად შემცდარი აზრია. ვინც ასე ამბობს, მან არ იცის სრულებით საქმის მდგომარეობა. შრომის სახალხო კომისარიატს ხელები არ ექავებოდა, როცა ამ საქმეს მოკიდა ხელი. მას არ გამოუგონია და არც შემოუღია ბეგარა. ჩვენ ფაქტის წი-

ნაშე ვიდექით, ზეარა ტარდებოდა და მისი ანარქიული ჩატარება მოსპობდა სრულებით სოფლის მეურნეობას. ამისათვის მოეკიდეთ ჩვენ მას ხელი. სრულიად მისი მოსპობა შეუძლებელია, ვინაიდან 5—6 წლის განმავლობაში დანგრეული გზატკეცილები, რკინის გზები, წახდარი სარწყავი არხები უნდა შეკეთებულიყო. დანგრეული ტრანსპორტი ვერ უდის საჭირო ტვირთების (ხე ტყის, სათბობ-მასალის, სურსათის და სხვ.) გადაზიდვას. ყველაფერ ამის გაკეთება კი შეუძლებელია თავისუფალ დაქირავებით, ვინაიდან ჩვენ სამეურნეო ორგანოებს საერთო კრიზისის გამო არ მოეპოვება საჭირო საშუალებანი და მეორე მხრივ კიდევ რომ ჰქონდეს, მასიური სამუშაოსათვის საჭირო მუშა-ძალას ვერ იშოვნიან. აქედან აუცილებელი ხდება შრომის ბეგარა, იძულებითი გამოყვანა სამუშაოზე სოფლელებისა, რასაკვირველია პერიოდიულად, არა მუდმივად. მის ჩატარებას უნდა მიეცეს ერთგვარი სისტემა. უნდა ტარდებოდეს გეგმით, რისთვისაც საჭიროა მისი შრომის კომისარიატის ხელში მოქცევა. სხვანაირად არც შეიძლება, თუ ეს საქმე რომელიმე ორგანოს ხელში დარჩა, არაფერი არ გამოვა და საქმეც სრულიად აირევა. ძველი წესი ბეგარის გატარებისა, თუ შესაძლებელია ასეთი სახელწოდება სამი თვის მუშაობის დროს, როცა არ იყო განსაზღვრული, თუ რამდენი უნდა ემუშავა თითოს სახელმწიფოს სასარგებლოდ, უნდა შეიცვალოს ახალით, განსაზღვრული ნორმით, რომლის შესრულება უფრო ადვილი იქნება, ვიდრე განუსაზღვრელის, რადგანაც მას აქვს ერთგვარი ფსიხოლოგიური მნიშვნელობა. როცა გლეხმა იცის, რომ წელიწადში მან უნდა იმუშაოს სახელმწიფოს სასარგებლოდ განსაზღვრული დღეები, ის ადვილად ურიგდება მას და მზათაა მის შესასრულებლად. როცა ყოველ თვე მას აწუხებენ ბეგარაზე, რომლის დასასრულის იმედი მას არა აქვს, ეს ძალიან ცუდად მოქმედობს მის ფსიხოლოგიაზე.

(დასასრული იქნება)

პარტიული ცხოვრება

მისალმება ბათომის პარტ-კონფერენციისაგან.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცკ-ამ ბათომის მეორე საოლქო კონფერენციის პრეზიდიუმისაგან მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

„საქართველოს კომუნისტურ პარტიის ბათომის მეორე საოლქო კონფერენცია უგზავნის გულმხურვალე სალამს საქართველოს კომუნისტურ პარტიის ც. კომიტეტს, როგორც საქართველოს მუშების და გლეხების ხელმძღვანელს და გამოსთქვამს რწმენას, რომ ამიერ კავკასიის მუშათა და გლეხთა მტკიცე თანხმობა და შემოქმედებითი თვითმოქმედება გამოგვიყვანს ეკონომიურ აღორძინების გზაზე და მიგვიყვანს მშრომელთა სრულ გამარჯვებამდე, კომუნიზმამდე. გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს!

კონფერენციის პრეზიდიუმი.

გურია.

(ხიდისთავი).

1922 წლის, 1 იანვარს ხიდისთავში მოწვეულ იქნა, ხიდისთავის რაიონის პარტიული კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 17 დელეგატი, 162 პარტიის წევრის წარმომადგენელი.

კრების თავჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. დათიკო ფოცხიშვილი, მდივნათ მოსე მეგრელიძე.

დღის წესრიგში შედიოდა შემდეგი კითხვები:

1. მოხსენება მომენტზე და საბჭოთა სისტემაზე;
2. მოხსენება რაიონულ კომიტეტიდან;
3. ბუკნარის თემის გარშემო;
4. რაიონული კომიტეტის არჩევა;
5. სამაზრო კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევა.

სანამ კითხვების გარჩევას შეუდგებით, წინადადება შემოდის მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს ცეკას და თბილისის საბჭოს; წინადადებას კონფერენცია ტაშის ცემით ეგებება.

მიმდინარე მომენტზე და საბჭოთა სისტემაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ვარდენ კალანდაძე, რომელიც ვრცლათ ეხება რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციის გამო წვევ მიზეზებს და ანტანტის ცდას უნაყოფოთ ჩატარებას, რომელიც იყო ჩვენს წინაამდეგ მიმართული; ამასთანავე ამხანაგი ეხება საბჭოების არჩევნებს და მოუწოდებს კონფერენციას, რათა ამხანაგებმა ამ არჩევნებში გამოიჩინონ მაქსიმალური ენერგია.

რაიონულ კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. თედორე სიხარულიძე, რომელიც აცნობს კონფერენციას, თუ რა გაუკეთებია რაიკომს დღიდგან არჩევისა, რის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: კონფერენცია აღიარებს, რომ რაიკომის მუშაობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი, რაც მიეწერება როგორც რაიკომის სისუსტეს, ისე პარტიის წევრების გულგრილობას.

ბუკნარის თემის შესახებ, მოხსენებას აკეთებს, ხიდისთავის რევკომის თავმჯდომარე ამხ. მიხაკო მეგრელიძე, რომელიც აღნიშნავს, თუ როგორ პირობებში გამოეყო ხიდისთავის თემს ბუკნარის თემი ამხანაგი საჭიროთ სცნობს, კონფერენციამ შუამდგომლობა აღძრას ვისთანაც ჯერ არს, რათა ბუკნარის თემი შეუერთდეს ან ხიდისთავს, ან და ვისთანაც თემის უმრავლესობა მოითხოვს, ამხანაგის მოხსენებებს კონფერენცია ერთხმათ ღებულობს და შუამდგომლობს გურიის კომიტეტის და სამაზრო რევკომის წინაშე, რათა ხსენებული თემი შეუერთდეს რომელიმე მახლობელ თემს.

რაიონულ კომიტეტში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები:

1. მოსე მეგრელიძე, 2. ლავროსი კალანდაძე, 3. პავლე ან. კალანდაძე, 4. ეპიფანე სიამაშვილი, და 5. მიხაკო მეგრელიძე.

კანდიდატებათ: 1. დათიკო ფოცხიშვილი, 2. აკაკი შარაშიძე და 3. ემელიან გოგიბერიძე.

სამაზრო კონფერენციისათვის დელეგატებათ არჩეულ იქნენ: 1. ვარდენ კალანდაძე, 2. მოსე მეგრელიძე და 3. ელიზბარ კალანდაძე.

ყარახოღელი.

წარმოებითი პროფკავშირებში

ს. პ. კ. ს. საკლუბო განყოფილების მუშაობა დეკემბერში.

საკლუბო საქმე,

დეკემბრამდის ყველა კლუბები, გარდა მუშათა ცენტრალურ კლუბისა, იყვნენ პოლიტიკურ განათლების მთავარ სამართველოს გამგეობაში, უკანასკნელის საკლუბო მუშაობა სუსტად მიმდინარეობდა. და ამის გამო კლუბების ს. პ. კ. საკლუბო განყოფილებაზე გადაცემის საკითხი გადაწყდა დადებითად. პოლიტიკურ განათლების მთავარ სამართველოზე დარჩა მხოლოდ იდეური ხელმძღვანელობა და კონტროლის ფუნქციები; საკლუბო საქმის საორგანიზაციო და სამეურნეო ხარჯები გადაეცა საკლუბო განყოფილებას.

1921 წ. ბოლოს თბილისში იყო 9 მუშათა კლუბი. 8 სარაიონო და ადგილობრივ კლუბებში სწარმოებდა მათი მუშათა კლუბებად გადაკეთება და საორგანიზაციო ხასიათის მუშაობა და ზოგიერთ მათგანში შესცვალეს უმოქმედო გამგეობები.

მუშათა ცენტრალურ კლუბში სწარმოებს სტუდიის მუშაობა, მუშათა ცენტრალურ კლუბის თეატრი გადაყვანილ იქნა სამეურნეო საფუძველზე და უნდა გაუწიოს საშეფო სარაიონო კლუბებსაც.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია პირველ საფეხურის სკოლებში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მეცადინეობის წესიერ მსვლელობაზე გავლენას ახდენს ზოგიერთ სკოლებში ტექნიკურ საშუალებათა უქონლობა. არის მოთხოვნილება ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში ახალი სკოლების გახსნისა.

დეკემბერში მოხდა გამოშვება ხუთ სკოლაში და ზოგიერთში მიუმატეს წერა-კითხვის უცოდინართა ახალი ჯგუფები.

მიღებულია ზომები პროვინციაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმის კარგად დასაყენებლად.

პროფტექნიკური განათლება.

ზოგიერთი პროფტექნიკური კურსები გადაყვანილ იქნა სამეურნეო ანგარიშზე. ამათ ეკუთვნის ელექტრო-ტექნიკოსთა კურსები, მეხანიკოთა, მანქანათა საშენებელი და სამკერვალო მრეწველობის კურსები.

დაიწყო მუშაობა მშენებელთა და პოლიგრაფიულ კრების სამეურნეო ანგარიშზე გადასაყვანად.

მუშათა ფაკულტეტი და უმაღლესი სასწავლებლები.

მეცადინეობა მუშათა ფაკულტეტზე ნორმალურად მიმდინარეობდა. ირიცხება 200 სტუდენტი. კანიკულები გრძელდება 16 იანვრამდე.

ს. პ. კ. ს. საშუალებით უმაღლეს სასწავლებელში შესვლის მსურველთა რიცხვმა გადააჭარბა ამ უკანასკნელზე მიცემულ ვაკანსიას. ამის გამო დამყარდა ის წესი, რომლის ძალითაც ფაკულტეტზე მიიღებენ მხოლოდ მათ, რომლებიც წარმოადგენენ კავშირის ცენტრალურ გამგეობას პრეზიდიუმიდან სათანადო თავდებობას და ს. პ. კ. ს. კულტურულ განყოფილების რეკომენდაციას.

სალექციო საქმე.

საკლუბო განყოფილების კოლეგიასთან ეწყობა სალექციო ბიურო, რომელიც სამსახურს გაუწევს მუშათა კლუბებს, საერთო-პოლიტიკურ და სამეცნიერო ხასიათის ლექციებისა და მოხსენებების სისტემატიურად გამართვით.

ფინანსები.

მთელი რიგ დადგენილებებით გამორკვეულია, რომ ცენტრალურ გამგეობის საკლუბო განყოფილება უნდა ინახებოდეს კავშირის ხარჯით, და ჯამის დანაკლისი უნდა შეავსოს ს. პ. კ. ს. საკლუბო განყოფილებამ.

მუშაობა მუსიკის სწავლის დარგში.

განათლების კომისარიატის სამუსიკო სტუდიები, რომლებშიაც სწავლობდა 200 მდე კაცი, მოიხსნა სახელმწიფოს მომარაგებიდან საკლუბო განყოფილებამ დაადგინა, ფიზიკურად მოუმზადოს მუშათა ბავშვებს მისცეს სწავლის შეღავათიანი პირობები.

სთვლის რა სიმფონიურ კონცერტების მოწყობას აუცილებლად და საჭიროთ, საკლუბო განყოფილებას განზრახული აქვს, შეუდგეს რუსულ, ევროპიულ და აღმოსავლეთის მუსიკის კონცერტების მოწყობას. გამომუშავებულია ფართო პროგრამა.

დანარჩენი მუშაობა.

განათლების კომისარიატის მიერ გახსნილ სკოლებში, საბავშვო ბაღებში და სახლებში იგზავნებიან პროფკავშირთა წევრების ბავშვები. მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიხსნა სასადილო იმ ბავშვთათვის, რომლებსაც დახმარებას აძლევს ამერიკული კომიტეტი. ყველა კავშირებში ბავშვთა რიცხვი აღწევს 20,000. შობის ხის დღესასწაულების მოწყობათ ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმმა გადასდო 25,000 000 მანეთი.

1922 წ. პირველ იანვრიდან გაზეთზე ფასის შემოღების გამო საკლუბო განყოფილებამ გამოიმუშავა სქემა მუშათა წარმოებათათვის გაზეთების შეღავათიან პირობებში მიღებისა. განზრახულია გაზეთის ზოგიერთი პროცენტი მიიღონ უფასოდ განათლების კომისარიატის ანგარიშზე მუშათა კლუბების სამკითხველოებისათვის.

მოწესრიგებულია თეატრის ბილეთების მიღების საქმე.

ქალაქის კონფერენციები.

ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილების დადგენილებით ქალაქის კონფერენციები მოწვეულ იქნებიან შემდეგ დღეებში:

1) მკერავთა და მქსოველთა— 22 იანვარს დილის 11 საათზე ს. პ. კ. ს. პატარა დარბაზში. წარმომადგენლობის ნორმა—10.

2) მელითონეთა და ტრანსპორტის მუშათა—20 იანვარს საღამოს 5 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში. წარმომადგენლობის ნორმა—20.

3) მკვებავთა—15 იანვარს დილის 10 საათზე პატარა დარბაზში წარმომადგენლობის ნორმა—21.

4 სახალხო კვების—23 იანვარს დილის 10 საათზე—დიდ დარბაზში.

5) ხელოვნების მუშაკთა—23 იანვარს დილის 11 საათზე—სახელმწიფო დარბაზში. ნორმა—50.

6) მბეჭდავთა—22 იანვარს დილის 10 საათზე დიდ დარბაზში.

7) მეთამბაქოეთა—17 იანვარს დილის 10 საათზე მუშათა სასახლის მე-5 სართული. ნორმა - 21.

8) სახალხო კავშირის—21 იანვარს დილის 10 საათზე ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატში. ნორმა—50.

9) მშენებელთა—20 იანვარს საღამოს 5 საათზე დიდ დარბაზში. ნორმა—10.

10) [illegible] მეურნეობა—25 იანვარს დილის 10 საათზე ტივოლში.

11) მედიკო სანიტარული—22 იანვარს დილის 10 საათზე პატარა დარბაზში ნორმა—20.

12) საქთამადნო მრეწველობის მუშები კონფერენციას აწვევენ. კავშირის ცენტრალურ გამგეობას უფლება ეძლევა გაგზავნოს ყრილობაზე ერთი წარმომადგენელი.

13) მეტყევეები—კონფერენცია გადაიდო.

14) მიწად-მოქმედების და სატყეო განყოფ მუშათა წარმომადგენლობის ნორმა ჯერ არ არის გამორკვეული.

კავშირების ფულით თვითმომარაგება ს. პ. კ. ს. საფინანსო განყოფილების მიერ.

ყველა წარმოებით კავშირებს და სამაზრო ბიუროებს გაუგზავნეს შემდეგი ცირკულიარული მიმართვა:

ს. კ. პ. ს. პრეზიდიუმის და გაფართოვებულ პლენუმის დადგენილების თანახმათ, ყველა პროფწარმოებითი კავშირები 1922 წლის 1 თებერვლიდან გადადიან ფულით თვითმომარაგებაზე და ფულის მიღება კავშირთა აპარატების შესანახათ სახელმწიფო წყაროდან ისპობა.

ზემოხსენებულის თანახმათ ს. პ. კ. ს. საფინანსო განყოფილება წინადადებას აძლევს ყველა კავშირის ორგანიზაციებს მიიღონ რაც შეიძლება ენერგიული ზომები ამ დადგენილების გასატარებლათ ცხოვრებაში, რისთვისაც:

1. უნდა დაამყარონ ზედმიწევნითი და სწორი აღრიცხვა ყველა თავისი წევრებისა, ს. პ. კ. ს. სტატისტიკურ განყოფილების მიერ დაგზავნილ სარეგისტრაციო ბარათების თანახმათ.

2. თვალი ადევნონ, რომ საწევრო შემოსატანები წესიერათ და თავის დროზე შემოდიოდეს.

3. 2 პროცენტიანი საწევრო თვიური შესატანები და აგრეთვე შესასვლელი გადასახადები უნდა აიღონ არა თუ მარტო კავშირის წევრთა მიერ მიღებულ ფულის ნიშნებიდან,—არამედ მთელი მთელი სამუშაო ქირიდან, ამასთან ანგარიშში უნდა მიიღონ ყოველნაირი მიცემული სურსათი, აგრეთვე ზედმეტი სამუშაო ქირა, პრემიალური ჯილდო და სხვა. საწევრო შესატანი უნდა გამოიანგარიშონ ყოველგვარ თვიურ სამუშაო ქირის მიხედვით, რომელიც უნდა გაიანგარიშებულ იქმნას ფულის ნიშნებით და დაჭერილ იქნას ხოლმე განსაკუთრებით იმავე ფულის ნიშნებით.

4. სახელმწიფო წარმოებებს და დაწესებულებებში საწევრო გადასახადები გამოიანგარიშებულ იქნება წარმოების და დაწესებულების ბუხჰალტერიის მიერ ყოველ თვის გასვლის სამუშაო ქირის ცხრილის შედგენის დროს; ცალკე ხაზებში უნდა აღინიშნოს, კავშირის ყოველი წევრისთვის გამოანგარიშებული მისგან საპროცენტო დასაჭერი ფული. ამნაირათ დაჭერილი ფული შეაქვთ ფაბრიკისა, ქარხნისა, ადგილობრივ კომიტეტის საშუალებით ანუ უშუალოთ კავშირის კასაში აუცილებლათ ერთი ცალი გასხვულ სადელეგატო ცხრილის დამატებით და ცხრილში ნაჩვენები წევრების საწევრო წიგნაკებით. სადელეგატო ცხრილი უნდა წარმოადგენდეს სამუშაო ქირის—ფულით თუ ნატურით—ცხრილის ასლს.

5. კერძო წარმოებებში და ცალკე სამუშაოებში საწევრო შესატანებს ანგარიშობენ და აგროვებენ, აგრეთვე სამუშაო ქირის ყოველ მიცემის დროს დელეგატები ან ადგილკომები და შეაქვთ კავშირის კასაში საშუალოთ აუცილებლათ ერთი ცალი გასხვულ სადელეგატო ცხრილის დამატებით და ცხრილში ნაჩვენები წევრების საწევრო წიგნაკებით. სადელეგატო ცხრილი უნდა წარმოადგენდეს სამუშაო ქირის ფულათ თუ ნატურით—ცხრილის ასლს.

6. კონტროლს საწევრო შესატანების სწორ აღრიცხვას და მათ თავის დროზე კავშირის კასაში შეტანას უწევენ ფაბრიკისა, ქარხნისა და ადგილობრივი კომიტეტები. დაჭერილი საწევრო შესატანები შეაქვთ არა უგვიანეს ყოველი თვის 10 რიცხვისა კავშირის კასაში.

შენიშვნა: კავშირებს ეძლევათ უფლება, ადგილობრივ პირობებისა და თავიანთ სპეციალობის მიხედვით, დაუწესონ უფრო ზედმიწევნითი და სწორი აღრიცხვა თავიანთ წევრების სამუშაო ქირისა და კონტროლი საწევრო შესატანების სწორათ გამოანგარიშება და მათ თავის დროზე შეტანა კავშირის კასაში.

7. საწევრო შესატანის კავშირის კასის მიერ მიღების შესახებ იძლევიან სათანადო კვიტანციას (ადგილობრივი და ქარხნის კომიტეტები იძლევიან კვიტანციას ყველა საწევრო შესატანების სადელეგატო ცხრილის მიხედვით).

ყოველი წევრის შესატანი კავშირმა აუცილებლათ უნდა ჩაწეროს ყოველი წევრის პირად საწევრო წიგნაკში, წარმოდგენილ სადელეგატო ცხრილის თანახმად, რომლითაც უწევს კონტროლს, თავის დროზე და სწორეთ თუ იყო შეტანილი საწევრო შემოსატანი. პირადი სარეგისტრაციო ბარათები ასრულებენ კავშირის წევრების“ წიგნის მაგიერობას.

შენიშვნა: სარეგისტრაციო ბარათების ს. პ. კ. ს. სტატისტიკური განყოფილება უგზავნის კავშირებს და ისტრუქტორობას უწევენ ეს განყოფილება და ს. პ. კ. ს. ბუხჰალტერია.

8. რაც შეეხება კავშირების წევრებს, ეგრეთ წოდებულ „მარტოხელებს“, ასეთები პრინციპიალურათ არ უნდა იყვნენ, რადგან ისინი უნდა მიწერილ იყვნენ რომელიმე სარაიონო ადგილკომზე. განსაკუთრებულ შემთხვევებში, მათ მიერ უშუალოთ კავშირის კასაში შეტანილი საწევრო შესატანები მიიღებიან კავშირის კვიტანციით, ხოლო შესატანი იწერება მათ პირად სარეგისტრაციო ბარათში.

9. სარეგისტრაციო წიგნაკები აუცილებლათ დანომრილი უნდა იყოს.

შენიშვნა: საწევრო შესატანების გადახდა იწყება 1922 წლის 1 იანვრიდან, ყველა მანამდე დარჩენილი ვალით შესატანები უქმდება და აღარ გადიხდება წევრებს. ვინც საწევრო შესატანს 3 თვის განმავლობაში არ გადიხდის, ითვლება მექანიკურათ კავშირიდან გასულათ.

10. იმ შემთხვევაში, სადაც შეუძლებელია 2 პროცენტიანი [illegible] შესატანები [illegible] ლებს“, ასეთებს ახდევინებენ ცენტრალურ გამგეობის მიერ დაწესებულ საშუალო ნორმის მიხედვით.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი № 88.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა. საფონდო კომისიის შესახებ.

სამუშაო ხელფასის ფონდების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან მოეწყოს **საფონდო კომისია**, შემდგარი ექვსი წევრისაგან, რომელთაც დანიშნავენ (თითო-თითოს) სახალხო კომისარიატები: სასურსათო, შრომისა და ფინანსთა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შრომის განრიგების განყოფილება, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და მუშათა კოოპერაციის ცენტრი.

შენიშვნა 1: საფონდო კომისიის პირად შედგენილობას დაამტკიცებს ეკონომიური საბჭო.

შენიშვნა 2: საფონდო კომისიის წევრთ დაენიშნებათ მუდმივი მოადგილენი, რომელთაც დაამტკიცებს ეკონომიური საბჭო.

შენიშვნა 3; საფონდო კომისიის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს დანიშნავს ეკონომიური საბჭო კომისიის წევრთაგან.

2. საფონდო კომისიის დანიშნულებას შეადგენს:

ა.—აღრიცხვა და ხელუხლები მიკუთვნება სამუშაო ხელფასის სახელმწიფო ფონდისათვის სასურსათო და ფართო მოხმარების საგნებისა და ფულის ნიშნებისა.

ბ.—განაწილება სამუშაო ხელფასის სახელმწიფო ფონდისა,—შრომის სასყიდლის მოქმედი ნორმების თანახმად,—მომხმარებელთა ცალკე ჯგუფებ შორის, რომელნიც სახელმწიფო მარაგზე იმყოფებიან და აგრეთვე მაზრებსა, ქალაქებსა და რაიონების შორის.

გ.—დაწესება ფასისა პროდუქტებისა და საქონლისათვის, რაც სამუშაო ხელფასის ნატურ ნაწილად გაიცემა.

დ.—განსაზღვრა იმ საწარმოო და სხვა დაწესებულებათა, რომელთა მუშა მოსამსახურენი გადაყვანილ უნდა იქნენ სახელმწიფო მომარაგებაზე ან ამისაგან გამორიცხულნი.

ე.—განხორციელება სახელმწიფო საწარმოო და სხვა დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების რიცხვის შემცირებისა განსაზღვრულ ნორმამდე და აგრეთვე შემუშავება ამ ნორმების უმეტესად შემცირების პროექტისა გარემოებათა ცვლილების მიხედვით.

ვ.—თვალყურისდევნება, რათა სამუშაო ხელფასის სახელმწიფო ფონდში მისი ცალკე ნაწილების თავის დროზედ შედიოდეს.

3. საფონდო კომისია დაანაწილებს სამუშაო ხელფასის სახელმწიფო ფონდს:

ა. მთავარ განყოფილებებსა, სამმართველოებსა და უწყებებ—დაწესებულებათათვის რომელნიც სახელმწიფო მარაგზე იმყოფებიან—მთელი უწყების შტატის მიხედვით; საწარმოო დაწესებულებათათვის—კი საბიუჯეტო—[illegible] სისტემით, ხოლო იმ პირობით, რომ გადამეტებული არ იქნეს ამა დაწესებულების მთელი დარგისათვის დაწესებული შტატები.

ბ.—ცალკე საწარმოო და სხვა დაწესებულებებზე; ამასთანავე, ქალაქებისა და მაზრების ხვედრი ნაწილები შეერთებულ უნდა იქნეს, შრომის სასყიდლის ნორმების მიხედვით, იმ განაწერთა თანახმად, რომელსაც შეიმუშავებენ მთავარი განყოფილებანი, სამმართველონი და უწყებანი.

4. საფონდო კომისიის უდასტუროდ ჩაითვლება ყოველგვარი ცვლილება ფონდის რაოდენობისა და მისი ნაწილების შეფარდებისა, რაც განსაზღვრულია კომისიის მიერ მთავარ განყოფილებათა, სამმართველოთა და უწყებათა მუშა მოსამსახურეების სამუშაო ხელფასის სათვის; აგრეთვე უკანონოდ ჩაითვლება, საფონდო კომისიის უდასტუროდ, ყოველგვარი ასიგნება ფულისა, სასურსათო, ხევთომრივი, მასალისა და სხვა რესურსებისა მთავარ განყოფილებათა სამმართველოთა და უწყებათათვის შრომის სასყიდლის მიცემისა და ამ რესურსების ხარჯვის მიზნით.

5. საფონდო კომისიას უფლება ეძლევა შეიმუშაოს დებულებანი, ინსტრუქციები და წესები თავისი ადგილობრივი ორგანოებისათვის, აგრეთვე—ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებებთან და სახელმწიფო ბიუჯეტის ნაწილთა მქონებლებთან ურთიერთობრივი დამოკიდებულებისათვის და აგრეთვე, საერთოდ, ამა დეკრეტის განხორციელებისათვის.

6. საფონდო კომისიის დებულებანი, ინსტრუქციები და წესები ძალაში შედის ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ.

7. უკეთუ რომელიმე დაინტერესებული უწყება თანახმა არ იქნება საფონდო კომისიის დადგენილებისა—შეუძლიათ საკითხი გადასაწყვეტად ეკონომიურ საბჭოში გადაიტანონ, ხოლო ამით საფონდო კომისიის დადგენილების აღსრულება არ შეჩერდება.

8. დეკრეტი ესე ძალაში შედის 1921 წ. დეკემბრის 17-დან.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1922 წ. იანვრის 10.

თბილისი—სასახლე.

სარედაქციო კოლეგია.

მიიღება ხელის მოწერა 1922 წ.

გაზ. „კომუნისტზე“

ხელის მოწერის პირობები:

1 თვით თბილისში და პროვინციაში 100.000 მან.

ცალკე ნომერი თბილისში 5.000 მან.

პარტიულ, მუშათა, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებისათვის, ქოხი-სამკითხველოებისა და წითელ-არმიელთა კლუბებისათვის ერთი თვით 50.000 მან.

* * *

დროებით ხელის მოწერა და განცხადებების მიღება სწარმოებს სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის-მელიქოვის, № 5), დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების რკინის გზები

იწვევენ მსურველთ მიიღონ თავიანთ თავზე დამზადება შპალებისა: მუხისა, ფიჭვისა და წიფლისა ფართე ლიანდაგისთვის 600.000 ცალი და ვიწრო ლიანდაგისთვის 40 000 ცალი. შპალების დადგმა უნდა სწარმოებდეს ყოველთვიურად თანაბარი პარტიებით გზების ერთ-ერთ სადგურზე.

შპალები უნდა ყველაფრით აკმაყოფილებდეს გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის ტექნიკურ პირობებს.

გზათა სამმართველო არ ღებულობს თავის თავზე მოვალეობას შპალების დასამუშავებელ ადგილის მიჩენაზე შუამდგომლობისას. შპალების დამდგმელთა მსურველთ უნდა შემოიტანონ წერილობითი განცხადება, დადგმის პირობების აღნიშვნით, ამიერ კავკასიის რკინის გზების სამასალო-სამეურნეო განყოფილების სახელზე, 1 თებერვლისთვის 1922 წ., სადაც შეუძლიათ მიიღონ განმარტებები და ნახონ დადგმის ტექნიკური პირობები ყოველ დღე 9—2 საათამდე.

სხვა და სხვა

დაკარგული მოწმობა № 2583 | 15752 მუშათა და გლეხთა ინსპექციის შიკრიკის იულია საყვარელიძის სახელზე ამით ითვლება გაუქმებულათ.

ტირაჟი 10,000

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კრონშტადტის ქ. № 4